III. კოლხეთის დაბლობი (მიმდებარე ბორცვიანი მთისწინეთით) არ გამოირჩევა ტბების სიმრავლით. რაიონის ტერიტორიის ფართობი $10\ 400\ \text{კმ}^2$ -ია (მთელი ტერიტორიის 14,9%). აქ სულ 61 ტბაა (ტბის ფონდის 7,1%) $21,08\ \text{კმ}^2$ ფართობით, ქვეყნის ტბების ჯამური ფართობის 12,3%. ტბების სიმკვრივის მაჩვენებელი სულ 5,9-ია; ტბურობის კოეფიციენტი – 0,002, ანუ ტბებს უკავია რაიონის მთელი ტერიტორიის 0,2%.

რაიონი არ გამოირჩევა ტბების გენეტიკური მრავალფეროვნებით. ტბების დიდი ნაწილი თავმოყრილია შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე, სადაც თავმოყრილია ყველაზე დიდი ლაგუნის (რელიეფური) ტბები – პალიასტომი, ინკიტი, პიონერული (ნურიე), რომლებიც გამოირჩევა მცირე სიღრმით. ყველაზე მეტად გავრცელებულია დიუნთაშორისი ტბები, განსაკუთრებით ბიჭვინთის კონცხზე, მდ. ენგურის შესართავიდან სუფსის შესართავამდე.

ლიმანური ტბები შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე ცოტაა (ბებესირის ტბა და სხვ.). რაიონში რამდენიმე დელტისებური და ჭალის ტბაა. დელტის ტბები მდ. ბზიფის, კოდორისა და ჭოროხის დელტაშია; საქმაოდ ბევრია მდ. რიონის ქვემო დინების (ჯაპანის ტბები) და მდ. ცხენისწყლის გასწვრივ.

კოლხეთის დაბლობის დასავლეთ ნაწილში, მდ. ენგურიდან სუფსამდე გვხვდება ანთოპოგენური ტბები, რომელთა წარმოქმნა უკავშირდება ტორფის გადამუშავებას ან გრუნტის ამოდებას დაჭაობებული ადგილების კოლმატაციისათვის.

კოლხეთის დაბლობის ბორცვიან ნაწილში, კირქვის გავრცელების ზონაში, კარსტული ტბები იშვიათია და ისინი მცირე ზომით გამოირჩევა.

IV. მტკვარ-ალაზნის მთათაშორისი ღრმული – საქართველოს ტბებით ყველაზე ღარიბი რაიონია. აქ $14\ 500\ \text{კმ}^2$ -ზე სულ 50 ტბაა. მათი უმრავლესობა გამოირჩევა მცირე ზომებით. ნახევარზე მეტი ტბის წყლის ჯამური ზედაპირის ფართობი $0,01\ \text{კმ}^2$ -ზე ნაკლებია (ცხრ. 3.5.1). ტერიტორიის ტბების სიმკვრივის მაჩვენებელი შეადგენს 3,4-ს. ტბების ჯამური ფართობი $25,89\ \text{კმ}^2$ -ია, ტბურობის კოეფიციენტი – 0,002, ანუ ტბებს უკავია რაიონის მთელი ტერიტორიის 0,2%, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ზაფხულში შრება (იორის ზეგანის ტბები). რაიონში როგორც მტკნარი, ისე მარილიანი და მლაშე ტიპის ტბებია.

ტბური ქვაბულის გენეზისით რაიონი არ გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებით. ჭარბობს სუფოზური ტბები, რომლებიც ხასიათდება მცირე ფართობით და სიღრმით. ტექტონური წარმოშობის მსხვილ ტბებს უკავია სინკლინური დეპრესიები. მათ მიეკუთვნება ბაზალეთის, ჯანდარის, კაჯირის ტბები. სამდინარო ტბები გვხვდება ალაზნის ჭალაში. ისინი გამოირჩევა წყლის სარგის მცირე ფართობით და სიღრმით, არის აგრეთვე მეწყრული ტბები.

ტბების ძირითადი მორფომეტრული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილში 3.5.2.

საქართველოს მნიშვნელოვანი ტბების ძირითადი მორფომეტრული მაჩვენებლები

N ^o	ტბები	სიმაღლე ზღვის დონიდან, მ	სარეზის ფართობი, $f \beta^2$	წყალშემცრები აუზის ფართობი $F \beta^2$	H_{bsz}	H_{bz}	V მდგ. მ ³	$C_1 = \frac{H_{\text{bsz}}}{H_{\text{bz}}} \cdot \frac{F}{f}$
1	2	3	4	5	6	7	8	9
1.	აბული	2176	0.8	8.3	1.35	0.9	0.76	0.67
2.	ადუედააძიში	2411	0.32	2.3	64.0	29.6	9.48	0.46
3.	აგჭალის	2053	0.3	20.0	1.1	0.7	0.23	0.64
4.	ალათუბნის	1816	0.08	0.89	1.4	0.9	0.08	0.64
5.	ალიგელი	1534	0.05	0.23	1.0	0.56	0.03	0.56
6.	ამტყელი	512	0.58	153.0	65.0	29.6	18.5	0.46
7.	ანიშხვარა	-0.6	0.03	1.2	4.2	2.6	0.07	0.61
8.	არაგვისთავის ზევითა	2897	0.04	0.05	7.1	4.2	0.17	0.59
9.	არაგვისთავის შუა	2886	0.05	0.08	4.4	2.7	0.14	0.61
10.	არაგვისთავის ქვემო	2797	0.07	0.14	4.5	2.8	1.97	0.62
11.	არბაზას ტბა	2788	0.03	1.32	4.1	2.6	0.08	0.63
12.	არყიანი ტბა	1582	0.02	0.28	4.2	2.0	1.60	0.48
13.	არჩვების ტბა	3078	0.13	4.89	7.9	4.2	0.55	0.53
14.	ბაზალეთი	878	1.22	14.4	7.0	4.5	5.55	00.64
15.	ბათეთის	1313	0.02	5.2	12.0	7.0	0.14	0.58
16.	ბარეთის (ბაშკოვის)	1621	1.34	9.3	1.3	0.82	1.10	0.63
17.	ბებესირი	15.9	0.14	0.82	4.6	2.5	0.36	0.54
18.	ბუღდაშენი	2040	0.9	69.3	0.9	0.42	0.16	0.47
19.	გბუშის	2218	0.05	0.94	13.4	5.8	0.32	0.43
20.	გველების ტბა	1.8	0.01	0.09	3.8	2.3	0.02	0.53
21.	გოდორების ტბა	2736	0.01	0.51	3.9	2.8	0.03	0.72
22.	გონიოს	0.5	0.06	1.1	1.3	0.85	0.05	0.60
23.	გორაფი (აკვარაში)	2175	0.08	2.8	15.6	7.7	0.59	0.49
24.	გრიგოლეთის	-0.3	0.1	0.38	5.0	2.75	0.28	0.55
25.	გრძელი ტბა	1584	0.08	0.41	3.9	2.02	1.63	0.52
26.	გრძელი ტბა (ხარახელი)	2784	0.17	0.98	11.9	6.52	1.11	0.55
27.	გურიგიძა	2216	0.02	0.72	5.0	2.2	0.04	0.44
28.	დაბაძველის	1726	0.01	0.25	4.6	2.9	0.03	0.63
29.	დათვების ტბა	3066	0.06	0.22	5.2	3.1	0.19	0.59
30.	დევის ტბა	1370	0.02	0.78	10.5	4.9	0.10	0.47
31.	დერიკვარაძიში	2531	0.08	0.4	22.0	8.1	0.65	0.37
32.	დიდი ბებესირი	15.9	0.61	17.5	4.5	2.3	1.40	0.51
33.	დიდი ნარიონალი	13.6	0.11	1.05	1.5	0.9	0.09	0.60
34.	დიდი ოქროწყალი	2421	0.1	2.2	26.5	12.0	1.20	0.45
35.	დიდი რიწა	884	1.49	155	101	63.1	94.0	0.62
36.	დიდი ხიმსა	2402	0.02	0.42	11.5	4.9	0.09	21.0
								0.42

Հերուսակ 3.5.2 (հաջրմելքեա)

37.	յրի՞ուս	1711	0.31	5.85	19.0	2.1	0.65	0.21	18.9
38.	զահօանո	1737	0.12	0.67	1.1	0.75	0.09	0.83	5.6
39.	զերւելու թիւ	2425	0.03	0.48	11.1	5.5	0.18	0.49	16.0
40.	նրբեցո	1720	1.77	48.4	0.75	0.45	0.80	0.60	27.3
41.	տոնած թիւ	2225	0.03	0.31	8.5	4.3	0.11	0.50	10.3
42.	օմետո	0.6	0.06	0.48	2.0	1.2	0.07	0.60	8.0
43.	օնչոտո	-0.8	0.40	19.2	3.2	1.9	0.81	0.59	48.0
44.	յարվածո (խոնացոնո)	1799	26.3	1.58	(1.0)	0.73	19.3	0.73	6.0
45.	յաեօս	1752	0.05	2.78	9.9	6.4	0.32	0.65	55.6
46.	լագատուսարուս	3173	0.09	0.36	4.3	2.3	0.21	0.53	4.0
47.	լամածո թիւ	2808	0.11	1.48	16.5	11.4	1.25	0.69	13.5
48.	լցանու թիւ	2815	0.06	1.38	2.8	1.8	0.12	0.64	23.0
49.	լցլունու թիւ	1554	0.07	0.18	2.7	1.43	0.10	0.53	2.57
50.	լուսու	624	0.47	16.1	4.0	2.6	1.22	0.65	34.2
51.	լցրչո թիւ	2596	0.07	2.63	1.9	1.1	0.08	0.57	37.6
52.	մադատացա	2108	8.78	136	1.7	1.03	9.5	0.63	15.5
53.	մալուայցու	0.2	0.03	0.23	6.5	3.9	0.12	0.60	7.67
54.	մյրենու թիւ	2075	0.22	1.0	1.9	1.1	0.29	0.69	4.5
55.	մյջոնու թիւ	-0.2	0.04	0.09	2.3	1.4	0.05	0.60	2.2
56.	միո	2053	0.04	0.8	11.5	5.1	0.23	0.44	20.0
57.	մօնժամցու թիւ	1827	0.02	0.46	4.5	2.5	0.05	0.56	23.0
58.	մլամյ թիւ	2862	0.02	0.51	6.8	4.2	0.09	0.63	25.5
59.	մրցալո թիւ (ծոցանոցի)	1950	0.05	0.48	1.2	0.8	0.04	0.67	9.6
60.	մրցալո թիւ (ըոմարյու)	1556	0.06	0.15	1.5	0.9	0.05	0.60	2.5
61.	մրցալո թիւ	2545	0.26	7.8	8.3	5.3	1.42	0.63	30.0
62.	մշրա ցրմելո	2524	0.02	0.45	14.2	5.7	0.11	0.40	22.5
63.	մշրա դուռո	2184	0.15	1.66	42.0	17.9	2.68	0.43	11.1
64.	մշրա քարարա	2286	0.02	0.18	22.9	8.5	0.19	0.37	9.0
65.	մնանյ թիւ	2058	0.05	1.3	19.4	9.8	0.49	0.45	26.0
66.	նաեցար թիւ (ծամլյեցլ)	2713	0.02	0.21	12.8	6.0	0.12	0.47	10.5
67.	որլորցու (աեմածո)	2035	0.22	1.2	2.6	1.71	0.37	0.66	5.45
68.	քալուաթըմո	-0.3	18.2	5.47	3.2	2.6	5.0	0.81	30.1
69.	քարարա ծյերուսո	14.4	0.09	1.02	1.8	1.1	0.11	0.61	11.3
70.	քարարա նարունալո	13.1	0.17	1.11	1.6	0.88	1.49	0.55	6.53
71.	քարարա րովճ	1235	0.10	2.95	76	33.8	3.25	0.44	29.5
72.	քարարա թիւ	1951	0.08	0.82	1.25	0.88	0.07	0.70	10.3
73.	քոռերյլո (Եյրոյ)	-0.2	0.07	0.10	5.1	3.42	0.24	0.67	1.42
74.	քևոյցու դուռո	2401	0.04	0.49	15.5	5.2	0.21	0.33	12.2
75.	սակյենու	1273	0.01	3.1	4.2	2.1	0.02	0.50	31.0
76.	սամսարու I	2725	0.04	0.73	6.9	3.2	0.13	0.46	18.2
77.	սամսարու II	2816	0.03	1.1	5.9	3.9	0.12	0.67	37.0
78.	սանտու	1736	0.20	0.73	4.2	2.5	0.50	0.60	3.65
79.	սալամու	1996	4.81	528	2.3	1.6	7.7	0.69	110

ცხრილი 3.5.2 (გაგრძელება)

80.	საწურბლია	1076	0.02	0.53	7.5	3.55	0.07	0.47	26.5
81.	სულდა I	1911	0.10	0.76	1.7	1.2	0.12	0.71	7.6
82.	სულდა II	1708	0.10	1.25	1.6	1.1	0.11	0.69	12.5
83.	ტაბაწყური	1991	14.2	83.1	40.2	15.5	221	0.39	5.85
84.	ტბა (წალკა)	1749	0.12	0.57	1.3	0.62	0.07	0.48	4.75
85.	ტობავარჩხილი	2650	0.21	1.12	35.0	15.8	3.31	0.45	5.33
86.	ფარავანი	2073	37.5	234	3.3	2.42	90.8	0.73	6.24
87.	ფართოწყარი	-0.3	0.21	1.17	3.5	2.1	4.41	0.60	5.57
88.	ქვედის	1567	0.09	11.8	14.5	8.2	0.71	0.56	131.1
89.	ქვემო ეგრისის	1286	0.11	1.8	1.9	1.1	0.12	0.56	1.66
90.	ღრმა ტბა	1560	0.11	0.27	2.3	1.26	0.14	0.55	2.45
91.	ყელის ტბა	2914	1.28	7.56	63.0	27.8	31.7	0.44	5.9
92.	ყელისძირის	3196	0.05	0.14	9.3	5.5	0.28	0.60	2.8
93.	ყელი წადი	3062	0.25	4.51	13.9	8.48	2.12	0.61	18.0
94.	ყოჩები	775	0.32	1.3	3.1	1.84	0.59	0.59	4.06
95.	შავი ტბა (დიდაჯარა)	1891	0.02	0.98	7.7	4.7	0.09	0.61	49.0
96.	შავი ტბა (ხისაძირი)	2125	0.01	0.73	7.1	4.4	0.06	0.61	73.0
97.	შავმორევა	597	0.03	0.62	6.1	3.35	0.11	0.55	20.6
98.	შავჯვარის დიდი	2835	0.08	0.12	8.5	5.4	0.43	0.64	1.5
99.	შიშველი ტბა	1864	0.10	0.65	1.45	1.0	0.10	0.69	6.5
100.	ჩაპაევის	1596	0.04	0.78	2.5	1.5	0.06	0.60	19.5
101.	ჩერეპანვის	1419	0.06	0.67	1.4	1.0	0.06	0.71	11.2
102.	ცუნდა	1339	0.034	1.8	10.8	6.6	0.20	0.61	52.9
103.	წეროს ტბა	1808	0.02	0.62	6.6	4.2	0.09	0.64	31.0
104.	წითელი წყარო	610	0.08	0.75	5.2	3.1	0.25	0.60	9.38
105.	წითელხატის დიდი	2779	0.23	2.42	53.0	19.3	4.56	0.36	10.5
106.	წითელხატის პატარა	2785	0.09	0.81	17.7	8.0	0.69	0.45	9.0
107.	წურბლიანი ტბა	1568	0.12	0.32	3.3	1.82	2.18	0.55	2.67
108.	ხადიკ	1534	0.14	0.81	1.6	0.86	0.12	0.54	5.78
109.	ხანჩალი	1928	13.3	176.0	0.8	0.48	6.4	0.60	13.2
110.	ჯაჯის ტბა	2648	0.01	0.89	5.0	3.1	0.103	0.62	89.0
111.	ჯანდარის	291	10.6	102.4	7.2	4.8	51.0	0.66	—

საქართველოს ტბები გამოირჩევა ასაკის მრავალფეროვნებით. აქ არის როგორც სრულიად ახალგაზრდა ტბები (მეწყრული, მდინარული, მყინვარული, გუბური), რომელებიც რამდენიმე ათეული წელი არსებობს, ისე ტბები, რომელთა ასაკი რამდენიმე ათასი წელია (ტექტონური, კარსტული, რამდენიმე გუბურა და ა.შ.).

ახალგაზრდა გუბურა ტბებისათვის (რიწა, ამტყელი და სხვ.) დამახასიათებელია ღრმა, მკვეთრად გამოხატული ქვაბულები, რომელთა მაქსიმალური სიღრმე 50 მ-ს აჭარბებს. მათ ახასიათებს სუსტად განვითარებული ფლატოვანი ნაპირები. ნაპირიდან უკვე შეიმჩნევა სიღრმის მკვეთრი ზრდა. მაგალითად, ფსკერის ფართობი 5 მ სიღრმემდე რიწის ტბაში მისი საერთო ფართობის 2%-ს შეადგენს. ნაპირიდან 100 მ-ის დაშორებით სიღრმე 40-60 მ-ს აღწევს. ქვაბულის მირითადი ნაწილის 60-70%-ს შეადგენს სიღრმეები, რომელთა სიგრძე 60 მეტრია. ღრმაწყლიანი ნაწილი (> 80 მ) იკავებს მთელი ფართობის თითქმის 50%-ს. წყალქვეშა კალთები დამრეცია, მაგრამ ფსკერი სწორია. ფორმის მიხედვით ქვაბული უახლოვდება პარაბოლიური ზოლი

მნიშვნელოვნად დასერილია. სანაპირო ზოლის განვითარების კოეფიციენტი იცვლება 1,2-დან 2,3-მდე. ყველაზე დიდი დასერილობით გამოირჩევა ამტკელი. ტბური ქვაბული-სათვის დამახასიათებელია სარკის ფართობის ზრდა წყლის დონის მომატებისას.

ანალოგიური მაჩვენებლებით ხასიათდება ღრმაწყლიანი მყინვარული ტბები ადუედაძიში, დერიკვარაძიში, დიდი მცრა, ტობავარჩხილი და სხვ. იმ განსხვავებით, რომ ამ ტბების სანაპირო ზოლის განვითარების კოეფიციენტი ძალიან დაბალია და იცვლება 1,1-დან 1,35-მდე.

ჯავახეთის ზეგანის ტბების უმრავლესობა გუბურა წარმოშობისაა, მაგრამ ამ დროისათვის ისინი გავსებულია მძლავრი ფსკერული დანალექებით, რომელიც 100 მ სისქისაა (ფარავანი). ამით აისხება წყალსატევების წყალმარჩხობა, მათი სიღრმე 2-3 მ-ს არ აღემატება. ტბების ფსკერი სწორია. სანაპირო ზოლი სუსტადაა განვითარებული, განვითარების კოეფიციენტი 1,1-1,3-ია. ნაპირები მაღალი არ არის. არც თუ იშვიათად გვხვდება ტერასები და ქვიშიანი სანაპირო ზვინულები. ასეთ ტბებს მიეკუთვნება: ფარავანი, ხანჩალი, მადათაფა, სადამო, კარწახი და სხვ. ჯავახეთის ზეგანის ტბებიდან გამოირჩევა ტაბაწყური, რომელიც ხასიათდება მნიშვნელოვანი სიღრმეებით, არასწორი ფსკერით და განვითარებული სანაპირო ზოლით, ასევე სამსარის ქედის ზოგიერთი მყინვარული ტბა (ლამაზი ტბა, მრუდე ტბა და სხვ.).

სუფოზური წარმოშობის ქვაბულები, ჩვეულებრივ, დიდი არ არის, ოვალური ან მრგვალი ფორმისაა, სანაპირო ზოლის დასერილობა უმნიშვნელოა, განვითარების კოეფიციენტი მერყეობს 1,03-დან 1,15-მდე. ნაპირები დაბალი და დამრეცია, ქვაბულები მცირე სიღრმისაა, მაქსიმალური სიღრმე არ აჭარბებს 2-4 მ-ს. სიღრმე თანდათანობით იზრდება, ფსკერი სწორია.

კარსტული ტბების ქვაბულები გამოირჩევა დიდი სიღრმეებით წყლის სარკის მცირე ზომების დროს, მათი სიღრმე მნიშვნელოვან საზღვრებში მერყეობს – 1-2 მ-დან 20-23 მ-მდე. ქვაბულები ძირითადად კონუსისებურია. სიღრმე სწრაფად იზრდება ნაპირიდან. ნაპირების და ფსკერის ხასიათი ამ ტბებში განსხვავებულია. ზოგიერთი ტბის ფსკერი რთულია, შედგება 2-3 კარსტული ღრმულისაგან.

ჭალის ტბები ძირითადად წაგრძელებული ან ნალისებური ფორმისაა. გამოირჩევა მნიშვნელოვანი სიგრძით და მცირე სიგანით. სიღრმე უმნიშვნელოა – 1-3 მეტრი. ახასიათებს სიღრმეების ინტენსიური ზრდა.

შავი ზღვის სანაპიროს ტბები გამოირჩევა ძირითადად მცირე სიღრმეებით და სარკის ფართობით. მათი ქვაბულები (ბალიასტომის ტბის გარდა) ჩვეულებრივ, მცირე, ოვალური ან წაგრძელებული ფორმისაა, ხასიათდება სანაპირო ზოლის სუსტი განვითარებით, დაბალი და დამრეცი ნაპირებით, ბრტყელი ფსკერით. სანაპირო ზოლის ძლიერი განვითარებით გამოირჩევა ზოგიერთი ლიმანური ტბა (ბეგესირის ტბების ჯგუფი, რომელთა განვითარების კოეფიციენტი მერყეობს 2,9-დან 3,8-მდე).

აუცილებელია გამოიყოს ტბების შემდეგი გენეტიკური ტიპები:

I. ტექტონური ტბები – საქართველოში გავრცელებულია უმნიშვნელოდ.

ისინი იყოფა ორ ქვეტიპად: 1) ტბები, რომელთაც სინკლინური დაბალება უკავია; 2) ტბები, რომელთა ქვაბული წარმოქმნა ტექტონური წყვეტის გასწვრივ.

პირველ ქვეტიპს ეგუთვნის საქართველოს ერთ-ერთი დიდი ტბა – კარწახი (ხოზაფინი). ასევე მცირე ტბები: ბარეთი და უზუნგელი (წალკის ქვაბული), ბაზალეთი, ჯანდარა და ა.შ.

მეორე ქვეტიპს მიეკუთვნება ტბები: საღამო, აბული და ავჭალის, რომლებიც განლაგებულია ტექტონური წყვეტის ხაზის გასწვრივ.

აღნიშვნელი ორი ქვეტიპის ტბები ღრმა არ არის. ყველაზე ღრმა მათ შორის ბაზალეთის ტბაა, რომლის მაქსიმალური სიღრმე სულ 7 მ-ია. გამოირჩევა სანაპირო ზოლის სუსტი დასერილობით.

II. ვულკანური ტბები. ამ ტიპს მიეკუთვნება ტბები, რომელთა ქვაბული წარმოიქმნა ვულკანური ქმედების შედეგად. ვულკანური ტბები საქართველოში ბევრი არ არის, თუმცა ვულკანური ქმედების რაონებს საკმაოდ დიდი ფართობი უკავია. ისინი უმთავრესად გავრცელებულია სამხრეთ საქართველოში (ჯავახეთი, მესხეთი, აჭარა), კავკასიონის მხარეში უმნიშვნელო რაოდენობით გვხვდება ყელის ვულკანურ ზეგანზე.

ვულკანური ტბები იყოფა ორ ქვეტიპად: 1) ტბები, რომელთაც უკავია ჩამქრალი ვულკანების კრატერები; 2) ტბები, რომლებიც განლაგებულია ლავის ნაკადების ზედაპირზე, რომლებიც წარმოიქმნება ლავის გაციების შედეგად.

პირველ ქვეტიპს (კრატერულ ტბებს) მიეკუთვნება რამდენიმე ტბა ჯავახეთის ვულკანურ ზეგანზე (გოდორების ტბა, მლაშე ტბა, შავნაბადას ტბა, თავკვეთილის ტბა და ერთი ტბა სამსარის კალდერიდან). ისინი მცირე ზომისა და არაღრმაა, ხასიათდება სანაპირო ზოლის სუსტი დასერილობით. ყელის ვულკანურ ზეგანზე კრატერული ტბები არ არის.

მეორე ქვეტიპის მიეკუთვნება ტბების დიდი რაოდენობა, როგორც ჯავახეთის ვულკანურ ზეგანზე, ისე მესხეთში, აჭარაში და ყელის ვულკანურ ზეგანზე. ჯავახეთის ტბებიდან ამ ქვეტიპს შეიძლება მივაკუთვნოთ: ბუღდაშენის, ორლოვის, მრგვალი, შიშველი ტბები. ამ ქვეტიპს ეკუთვნის ასევე გომარეთის ტბები, რამდენიმე პატარა ტბა დმანისის პლატოზე, ერუშეთის და თლილის ქედებზე არსებული რამდენიმე პატარა ტბა (მესხეთი), არსიანის ქედზე (აჭარაში). რამდენიმე ასეთი ტბა არის ყელის ვულკანურ ზეგანზე.

მეორე ქვეტიპის ტბები გამოირჩევა სარკის შედარებით დიდი ფართობით, მაგრამ უმნიშვნელო სიღრმით. მათი სანაპირო ზოლი სუსტადაა დასერილი.

III. მყინვარული ტბები. მყინვარული წარმოშობის ტბები ყველაზე გავრცელებულია საქართველოში, რაც უკავშირდება მეოთხეული გამყინვარების დიდ მასშტაბებს საქართველოს მთებში. მყინვარული ტბები ყველაზე მეტად გავრცელებულია კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ განშტოებაზე, განსაკუთრებით აფხაზეთის ნაწილში. აღმოსავლეთით მყინვარული ტბების რაოდენობა თანდათან მცირდება.

მყინვარული ტბები მნიშვნელოვნად მცირე რაოდენობითა მცირე კავკასიონზე და სამხრეთ საქართველოს ვულკანურ ზეგანზე.

მყინვარული ტბები იყოფა სამ ქვეტიპად: ეროზიული (ეგზარაციული), აკუმულაციური და ნიგაციური.

პირველი ქვეტიპი საქართველოში ყველაზე გავრცელებულია. მათ ძირითადად უკავია მყინვარული წარმოშობის ქვაბულები. ისინი გამოირჩევა აკვატორიის შედარებით დიდი ფართობით და მაქსიმალური სიღრმეებით, ახასიათებს ოვალური ფორმა და ნაპირის სუსტი დასერილობა.

ეგზარაციული მყინვარული ტბების მაქსიმალური სიღრმე კავკასიონის განშტოებაზე მერყეობს 5-დან 15 მ-დან, იშვიათად მეტია. ტიპური მყინვარული ეგზარაციული ტბებია: მზი, ვერცხლის ტბა, გორაფი, აღუედააძიში, ფსიკვა, დერიკვარააძიში, ოქროწყალი, დიდი ტობავარჩხილი, მცრა, შავჯვრის ტბა, ტანიე, ნახევარტბა და სხვ.

მათგან განსაკუთრებით საინტერესოა აღუედააძიში და დიდი ტობავარჩხილი, რომლებიც გამოირჩევა ფართობის სიღიდით და მაქსიმალური სიღრმით. ასე, აღუედააძიშის მაქსიმალური სიღრმე 64 მ-ია, დიდი ტობავარჩხილის – 35 მ; ასეთი დიდი სიღრმეები აისხება მათი ქვაბულები მყინვარული ჩაღრმავებით.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კარსტული ტბები გავრცელებულია მცირე კავკასიონისა და სამხრეთ საქართველოს ვულკანურ ზეგანზე. აღნიშნება მესხეთის (აჭარა-იმერეთის) ქედზე: ზღვისნაწყვეტი, ჯაჯის ტბა და სხვ. სამსარის ქედზე – ლურჯი ტბა, დიდი აბულის, სამსარის და სხვ. ამ ტიპის ტბები თრიალეთის ქედზე არ არის.

აკუმულაციური (მორენული) ტბები, რომლებიც განლაგებულია მორენულ ბორცვებსა და გორაკებს შორის, საქართველოში ცოტაა. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ მორენული დანალექების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაირეცხა წყლისმიერი ეროზის შედეგად. ეს ტბები გამოირჩევა აკვატორიის უმნიშვნელო ფართობით და მცირე სიღრმეებით, ასევე სანაპირო ზოლის შედარებით მეტი დასერილობით. საქართველოს ფარგლებში ისინი გვხვდება მდ. ლაშიპსეს სათავეში, მდ. საკენის ხეობაში, სოფელ საკენის ზემოთ, ჩედიმის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, კელის ვულკანურ ზეგანზე, სამსარის ქედზე, მდ. ხევსურეთის არაგის სათავეში და სხვა ადგილებში.

ნივაციური წარმოშობის ტბებს უკავია თოვლის ეროზის შედეგად წარმოქმნილი მცირე ზომის ქვაბულები, ამიტომ ისინი უმნიშვნელო ზომისაა. გავრცელებულია მცირე რაოდენობით. ტიპური ნივაციური ტბები გვხვდება ადანგეს უდელტეხილის რაონზი (5 ტბა); ისინი აღნიშნულია მდ. მზიმნის სათავეში (მდ. ბზიფის აუზი), სამხრეთ საქართველოში, ჯავახეთის და ჩრდილის ქედებზე, თრიალეთის ქედზე კოდიანის მთასთან.

IV. მდინარეული (კალაპოტური) ტბები საქართველოში უმნიშვნელოდაა გავრცელებული და წარმოდგენილია ორი ქვეტიპით. პირველი ქვეტიპი – წარმოდგენილი ტბებით, რომლებიც დამახასიათებელია მდ. რიონის ქვედა წელისათვის, მათ „ნარიონალი“ ეწოდება (სადაც ადრე მიედინებოდა მდ. რიონი). ეს ნალისებური ფორმის ტბები გამოირჩევა უმნიშვნელო სიღრმეებით და მნიშვნელოვნად დასერილი სანაპირო ზოლით. გარდა მდინარე რიონისა, ასეთი ტბები გვხვდება აგრეთვე მდ. ხობის, სუფსას და ალაზნის ქვედა წელში.

მეორე ქვეტიპს მიეკუთვნება დელტის ტბები. ისინი გამოირჩევა როგორც აკვატორიის ფართობის, ისე სიღრმის უმნიშვნელო ზომებით. საქართველოში ამ ტიპის ტბები ცოტაა. ისინი გვხვდება მდ. ბზიფის, კოდორის და ჭოროხის დელტებში.

V. სანაპირო ტბები – დამოუკიდებელი გენეტიკური ტიპის ტბებია. მათი ქვაბულის წარმოქმნის ძირითადი ფაქტორებია ზღვის ტალღების მოქმედება და ნატანის აკუმულაცია.

ამ ტიპში გამოიყოფა სამი ქვეტიპი: 1) ლაგუნის (რელიქტური), 2) ლიმანური (შესართავის), 3) დიუნთაშორისი (ზვინულებშორისი).

ლაგუნის ტიპის ტბები – ეს ყოფილი ზღვის ყურეებია, რომლებიც ზღვისაგან გამოაცალება ნატანი. ასეთი ტბა შეავის საქართველოს სანაპიროზე სულ ოთხია: პალიასტომი, ინკიტი, ანიშხვარა ბიჭვინთის კონცხზე და პიონერული (ნურიე) ბათუმში. მათგან ყველაზე დიდია პალიასტომი.

ლიმანური ტბები შეავის საქართველოს სანაპიროზე ცოტაა. ლიმანები – ეს მდინარის შესართავის ნაწილებია, რომლებიც გამონაწევრებულია ზღვისაგან ბარებით. ამ ქვეტიპს ეკუთვნის ბებესირის სამი ტბა, რომლებიც წარმოიქმნა მცირე მდინარეების გაფართოებული შესართავის ზღვისაგან გამოცალებების შედეგად. ამ ქვეტიპს ეკუთვნის აგრეთვე რამდენიმე მცირე ტბა (ბუგაზა, ხარკალე და სხვ.). ლიმანური ტბები გამოირჩევა მცირე ზომებით და სანაპირო ზოლის დიდი დასერილობით.

დიუნთაშორისი ტბები მდებარეობს კოლმატირებულ ქვაბულებში, ზღვის დიუნებს შორის ან სანაპირო ქვიშის ზვინულებს შორის და გაჭიმულია ზღვის ნაპირის გასწვრივ. ამ ქვეტიპს მიეკუთვნება ყველა ტბა ბიჭვინთის კონცხზე, ინკიტის და ანიშხვარას (გველების ტბა) გარდა, ასევე სანაპირო ზოლის ტბების უმრავლესობა კოდორის დელტიდან ჭოროხის დელტამდე. ისინი გამოირჩევა უმნიშვნელო სიღრმით და ფართობით, მათი ნაწილი ზაფხულის პერიოდში შრება.

VI. კარსტული ტბები. საქართველოში კლასიკურადა წარმოდგენილი რელიეფის კარსტული ფორმები. დასავლეთ საქართველოს კირქვიან ზოლს უკავია 4 475 კმ² ფართობი, რაც ქვეყნის ტერიტორიის 6,4%. ამ ზოლში ბევრი კარსტული ტბაა, რომლებიც საქართველოს ტბების 5%-ია. ისინი გავრცელებულია როგორც დაბლობში,

ისე მაღალმთიანეთში, მაგრამ მათი უმრავლესობა გვხვდება მთის კირქვიან მასივებზე და ქედებზე. არაბიკის კირქვიან მასივზე კოლმატირებულ კარსტულ ღრმულებში წარმოიქმნება ძირითადად დროებითი კარსტული ტბები, რომლებიც იკვებება წვიმის და თოვლის მდნარი წყლებით. არაბიკის მასივის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში უმნიშვნელო ზომის რამდენიმე მუდმივი ტბაა. კარსტული ორმოები ამოვსებულია თოვლის და წვიმის მდგრიე წყლით.

არაბიკის მასივის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის ძირში, მდ. ბზიფის ხეობაში, მდებარეობს პოპულარული ცისფერი ტბა, რომელსაც უკავია აღმავალი კარსტული წყაროს გაფართოებული შესართავი; წყაროს დებიტი 3,5 მ³/წმ-ს შეადგენს.

რამდენიმე კარსტული ტბაა ბზიფის ქედის დასავლეთ ნაწილში. რომელიც მასიური კირქვისაგან შედგება. ეს მცირე ზომის დროებითი წყალსატევებია, რომლებიც კარსტულ ორმოებს ავსებს წვიმის და გამდნარი თოვლის წყლებით.

უმნიშვნელო ზომის კარსტული ტბები გვხვდება აგრეთვე ოხაჩუეს და ასხის კირქვიან მასივებზე.

15-მდე კარსტული ტბაა რაჭის ქედზე. მათ შორის არის დიდი ტბები როგორი ქვაბულებით, რომლებიც ორი ღრმულისაგან შედგება (დევის ტბა, საწურბლია).

უმნიშვნელო ზომის კარსტული ტბებია იმერეთის მაღლობზე, ქ. ჭიათურის რაიონში.

საქართველოს ყველაზე დიდი კარსტული ტბაა ერწო, მდ. ყვირილას ზემო წელში. მას როგორი ქვაბული აქვს, რომელიც ოთხი სხვადასხვა ზომის და სხვადასხვა ფორმის კარსტული ორმოებისაგან შედგება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ტბა, ცისფერი ტბის გარდა, მდებარეობს კირქვიანი ზოლის შუა და მაღალმთიან ნაწილში. მთისწინეთი და დაბლობი ნაწილი დარიბია კარსტული ტბებით.

კარსტული ტბები იყოფა ორ ტიპად და რამდენიმე ქვეტიპად: კარსტული, ტექტონურ-კარსტული და კარსტით გარდაქმნილი ტბები.

პირველ ტიპში გამოიყოფა რამდენიმე ქვეტიპი. მათ უმრავლესობას უკავია ეროზიული ძაბრები და ქვაბულები. ყველა ამ ტიპის ტბა მდებარეობს შუა და მაღალმთიან ნაწილში. ტბების უმნიშვნელო ნაწილი მიეკუთვნება მეორე ქვეტიპს – ჩანაქცევა და ტექტონურ-ჩანაქცევა ტბებს. ესენია ერწოს და პაპანწყვილი-ხეთის.

მესამე ქვეტიპს – ტბები, რომელთაც უკავია აღმავალი კარსტული წყაროების ეროზიული ღრმულები. ასეთებია მხოლოდ ცისფერი ტბა მდ. ბზიფის ხეობაში, ხარისოვალის და ძროხისთვალის ტბები რაჭის ქედზე, თუმცა ამჟამად ისინი შეტბორილია შაორის წყალსაცავის წყლებით, რომლებსაც ამჟამად უკავია შაორის კარსტული ქვაბული.

მეორე გენეტიკურ ტიპს – კარსტით გარდაქმნილ ტბის ქვაბულებს – მიეკუთვნება ტბები, რომელთა ქვაბულები არაკარსტული წარმოშობისაა. ამ ტიპში შედის ეროზიული კარსტული ქვაბულები, რომლებიც წარმოიქმნა მას შემდეგ, რაც ეროზიამ მიაღწია კარსტულ ქანებამდე. ასეთი ტბები გავრცელებულია ჭიათურის რაიონში. მათ შორის რამდენიმეს უმნიშვნელო ზომები აქვს და სშირად შრება. ორი ტბა – ნაბარდები და შავმორევა გამოირჩევა საკმაოდ მნიშვნელოვანი ზომებით.

VII. სუფოზური ტბები წარმოიქმნება იმ რაიონებში, სადაც მიწისქვეშა წყლები ხსნის და გამორეცხავს მთის ქანების შემადგენელ და მათ მაცემენტირებელ მარილებს. სუფოზური ტბები, მათი წარმოშობის მიხედვით, ორ ქვეტიპად იყოფა: 1) ქმიური სუფოზით წარმოქმნილი და მექანიკური სუფოზით შედეგად წარმოქმნილი. პირველი ქვეტიპის ტბები გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ ნაწილში, რომელიც შედგება პალეოგენის და ნეოგენის თაბაშირიანი დანალექი ქანებისაგან. ამ ტბების ქვაბულები გამოირჩევა მრგვალი ფორმით და ძალიან დამრეცი ნაპირებით, ტბები მცირე ზომისაა. ამ ქვეტიპს ეკუთვნის: გლდანის ორი ტბა, ნადარბაზევის ტბა ძლევიტხოტის მთაგრეხილზე, ჯვრის ტბა ჯვართან, მუხროვანის ტბები, იორის ზეგანის

ტბების უმრავლესობა, თბილისის შემოგარენის ტბები (კუს ტბის გარდა). აღსანიშნავია, რომ სამგორის წყალსაცავს უკავია გრძელი სუფოზური ქვაბული, რომლის ფსკერზე, წყალსაცავის წარმოქმნამდე, სამი ტბა იყო: კუკის, ილგუნიანის და ავლაბრის.

სუფოზური წარმოშობის თითქმის ყველა ტბა მდაშეა, რამდენიმე მათგანში კონცენტრირებულია გლაუბერის მარილის დიდი მარაგი.

ტბების მეორე ქვეტიპი გვხვდება ვულკანურ რაიონებში, იქ, სადაც დედამიწის ქერქის შექმნაში მონაწილეობს ლავა და ფაშარი ვულკანური მასალა. მექანიკური სუფოზით წარმოქმნილ ტბებს ეპუთგნის: კასისი და დაბაძველი დაბაძველის ვულკანურ პლატოზე (ბორჯომის რაიონი), მწვანე ტბა, წიფლნარის ტბები (არსიანის ქედის დასავლეთ კალთაზე). ისინი ხასიათდება აკვატორიის უმნიშვნელო ზომებით, მაგრამ მნიშვნელოვანი სიღრმეებით. ზოგიერთი (მწვანე ტბა – დიდი და პატარა) ხასიათდება მიწისქვეშა ჩამონადენით, რომელიც განაპირობებს დონის დიდ წლიურ მერყეობას.

VIII. საგუბარი ტბები. ამ გენეტიკურ ტიპს ეკუთვნის ტბები, რომლებიც წარმოიქმნა კლდის ზვავების შედეგად, აგრეთვე ტბები, რომლებიც წარმოიქმნა ხეობის ლავის ნაკადით და მორენებით ჩახერგვის შედეგად.

საგუბარი ტბები ბევრი არ არის, მაგრამ გამოირჩევა აკვატორიის მნიშვნელოვანი ფართობით და დიდი სიღრმეებით.

საქართველოში გამოიყოფა საგუბარი ტბების სამი ქვეტიპი: პირველი, ტბები, რომლებიც გუბდება კლდოვანი ზვავებით, მეორე – ლავით გადაღობვით, მესამე – მორენული გადაღობვის შედეგად. პირველ ქვეტიპს მიეკუთვნება 5 ტბა: დიდი და პატარა რიწა, ამტკელი (აფხაზეთი), ქვედის ტბა (რაჭა) და ბატების ტბა (მდ. ძამის აუზი, ქარელის რაიონი). პირველი სამი ტბა გამოირჩევა დიდი სიღრმით, ხოლო რიწა – მაქსიმალური სიღრმით პირველ ადგილზეა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში.

მეორე ქვეტიპს მიეკუთვნება: ფარაგანი, ხანჯალი, ტაბაწყური, მაღათაფა – ჯავახეთში, ყელი, წითელხატის (დიდი და პატარა), ყელიწადი, არჩვების ტბა და სხვა ტბები ყელის ვულკანურ ზეგანზე. მათ შორის რამდენიმე გამოირჩევა მაქსიმალური სიღრმით (ყელის, ტაბაწყურის, წითელხატის).

მესამე ქვეტიპი გვხვდება კავკასიონის მაღალმთიანეთში და სამხრეთ საქართველოს ზეგანზე. ისინი მდებარეობს მდ. ლაშიპეს ზემო წელში, კოდორის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, ყელის ვულკანურ ზეგანზე, სამსარსის ქედზე, აღმოსავლეთ კავკასიონის ქიმზე (ლაგოდეხის რაიონი) და არ გამოირჩევა დიდი ფართობით, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ღრმაა.

IX. მეწყერის ტიპის ტბები. მეწყერული წარმოშობის ტბების რაოდგნობა საქართველოში ცოტაა. ძალიან პატარა ტბებია, წარმოქმნილი მეწყერების შედეგად. მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა უკავშირდება მეწყერული პროცესების ინტენსივობას. თუ მეწყერული პროცესები ხშირად მეორდება, მაშინ ძველი ტბები, უმრავლეს შემთხვევაში ქრება და ჩნდება ახალი. ამ ტიპის ტბები გვხვდება აჭარაში, ახალგაზრდა ტბები მდ. ლორჯომის-წყლის სათავეში (მდ. აჭარის-წყლის შენაკადი).

უძირო ტბა გომბორის ქედზეა, ხოჭ. ზემო ხოდაშენთან, კახეთში. იგი ალბათ მეწყერული პროცესების შეწყვეტის გამო არსებობს. ყველაზე დიდ და ხანდაზმულ მეწყერულ ტბად თვლება ხუნდას ტბა, ასპინძის რაიონში, მდ. მტკვრის აუზში, თმოგვის ციხის ახლოს. ამ ტიპის ტბები გვხვდება აგრეთვე რაჭაში და ლეჩხუმში.

X. ანთოპოოგენური ტბები. ამ ტიპს ეკუთვნის ხელოვნური წყალსატევები (წყალსაცავები და გუბურები), რომლებიც შექმნილია ადამიანის მიერ გარკვეული მიზნით (მორწყვა, ენერგეტიკა და ა.შ.). ამ ტიპს ეკუთვნის აგრეთვე ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ტბები.

ხელოვნური ტბები, წარმოქმნილი ადამიანის სამეურნეო მოღვაწეობის შედეგად, გვხვდება კოლხეთის დაბლობის დასავლეთ ნაწილში, სადაც ტორფის საბადოების

გადამუშავების შედეგად წარმოიქმნა რამდენიმე მცირე ტბა. სხვა ქვეტიპი ანთოპოგენური ტბებისა არის ჭიათურის რაიონში, რომელთა წარმოქმნა უკავშირდება მარგანეცის საბადოების დამუშავებას და გზის გაყვანას. ეს ტბები უმნიშვნელო ზომებისაა და არ გამოირჩევა სიცოცხლის დიდი ხანგრძლივობით.

ტბების კვება. საქართველოს ტბები ძლიერ განსხვავდება კვების პირობებით, რაც გამოწვეულია ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებით და ტბების განლაგების უდიდესი ვერტიკალური დიაპაზონით.

კოლხეთის დაბლობის და მტკვარ-ალაზნის ტბები ძირითადად იკვებება წვიმის, მიწისქვეშა და თოვლის წყლებით.

იმ ტბების კვებაში, რომლებიც განლაგებულია დაბალ და საშუალო მთიან სარტყელში (500-600 მ-ის ზევით), სადაც ზამთარში იქმნება მდგრადი თოვლის საფარი, დიდ როლს ასრულებს თოვლის წყლები, განსაკუთრებით გაზაფხულზე, ინტენსიური დნობისას.

მაღალმთიანი ტბები (2000 მ-ის ზევით) იკვებება ძირითადად თოვლის წყლებით, თბილ პერიოდში – წვიმის წყლებით, ზამთარში – მიწისქვეშა წყლებით. ზაფხულში ამ ტიპის ტბების კვება ხდება მუდმივი თოვლის დნობით. ამ ტიპს ეკუთვნის ბზიფის (ჩედიმის), ჩხალთის, კოდორის და სამსარსის ქედებზე განლაგებული ტბები.

ტბები, რომლებიც იკვებება მყინვარული წყლებით, საქართველოში ძალიან ცოტაა. განსაკუთრებით გამოიყოფა მსხვილი ტბები ჯავახეთის ვულკანურ ზეგანზე – ფარავანი, სადამო, ტაბაწყური, კარწახი და სხვ. ისინი მთელი წლის განმავლობაში იკვებება ძირითადად მიწისქვეშა წყლებით, რომლებიც გავლენას ახდენს არა მარტო წყლის დონის რეჟიმზე, არამედ მათ თერმიკაზეც.

წყლის დონური რეჟიმი. ტბების დონის რეჟიმი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ტბის კვების ტიპზე და წყლის ბალანსზე, რომელიც განსაზღვრავს ტბების წყლის მასის სიდიდეს და მის ცვლილებას დროში, ანუ წყალსატევის რეჟიმის ძირითად მახასიათებლებს.


ტბების უმრავლესობის დონე ექვემდებარება სეზონურ მერყეობას, ხოლო კოლხეთის დაბლობზე არსებულ ტბებს ახასიათებს წლის განმავლობაში დონის განუწყვეტელი ცვლილება, ხშირი წვიმების გამო.

საქართველოს ტბები წყლის დონის რეჟიმის მიხედვით შეიძლება დაიყოს 5 ტიპად (ნახ. 3.5.2, ცხრ. 3.5.3).

ცხრილი 3.5.3

საქართველოს ტბების საშუალო თვიური წყლის დონეები (სმ)

ტბა	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წელი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
ფარავანი	32	34	36	41	52	52	41	31	25	24	25	28	35
კარწახი	43	43	38	43	49	56	54	50	41	39	38	40	44
ტაბაწყური	122	116	123	148	184	192	186	175	159	145	138	133	154
სადამო	49	51	51	60	77	57	49	45	43	43	44	47	51
ბაზალეთი	156	161	172	182	189	191	182	166	157	153	154	154	168
ლისი	29	34	39	45	50	52	41	24	11	8	10	14	30
პალიასტომი	46	48	50	49	53	55	57	51	44	39	34	41	47
რიწა	186	172	181	228	271	251	217	195	185	197	195	191	205



ნახ. 3.5.2. წყლის დონის მერყეობის გრაფიკები (ა) და წყალმცირე (ბ) წლებში
 1. – რიწის ტბა, 2 – საღამოს ტბა, 3 – ფარაგნის ტბა, 4 – ბაზალეთის ტბა, 5 – ლისის ტბა,
 6 – კარწახის ტბა, 7 – ტბა ტაბაწყური, 8 – პალიასტომის ტბა

პირველ ტიპს ეკუთვნის ჩამდინარე ტბები დაბალ და საშუალომთიანეთის სარტყლის კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე (რიწა), რომელთა რეჟიმი მთლიანადაა დამოკიდებული მათი მკვებავი მდინარეების წყლის რეჟიმზე. დონის მომატება გაზაფხულზე იწყება მარტის ბოლოს – აპრილის დასაწყისში და ემთხვევა ინტენსიურ თოვლის დნობას. დონის მაქსიმუმი აღინიშნება მაის-ივნისში, რის შემდეგაც ხდება ნახტომისებური დაწევა, გამოწვეული წვიმებით, გრძელდება სექტემბრამდე, მეორადი მინიმუმის დაწყებამდე. ზამთარში დონე რამდენადმე სტაბილურდება შემდგომ გაზაფხულამდე. წლიური მინიმალური დონე აღინიშნება თებერვალში.

მეორე ტიპს ეკუთვნის სამხრეთ საქართველოს ზეგანზე არსებული ტბები. მათ ახასიათებს გაზაფხულ-ზაფხულში დონის მომატება თოვლის დნობის შედეგად – აპრილის დასაწყისში, მთიან რაიონებში (ფარაგანი, საღამო, ხანჩალი და სხვ.). დონის მაქსიმუმი მაისშია, შემდეგ დაბლა იწევს სექტემბრამდე. ზამთარში დონის მერყეობა ტბებში უმნიშვნელოა და არ აჭარბებს 5-10 სმ-ს.

მესამე ტიპს ეკუთვნის ტბა კარწახი და ტაბაწყური და ზოგიერთი ზედაპირულად გაუმდინარე ტბა ჯავახეთის ვულკანურ ზეგანზე. მაღალი დონის ხანგრძლივობა შეადგენს 1,5-2 თვეს. დონის მდორე დაწევა გრძელდება ოქტომბრამდე და დეკემბერშიც. ზამთრის პერიოდში შეიმჩნევა მინიმალური დაბალი დონე, რადგან ამ დროს არ არის ზედაპირული წყლების მოდინება.

მეოთხე ტიპის ტბები გავრცელებულია შავი ზღვის სანაპიროზე და კოლხეთის დაბლობზე. მათ ახასიათებს წყლის დონის აწევა და დაწევა უწყვეტად წლის განმავლობაში, გამოწვეული ხანგრძლივი წვიმებით. ტბებში წყლის დონის აწევის ინტენსივობა ტოლია 25-30 სმ/დღელამეში, ხოლო დიდი წვიმების დროს – აღწევს 50-60 სმ/დღელამეში.

მეხუთე ტიპს შეიძლება მივაკუთვნოთ ტბები მტკვარ-ალაზნის მთათაშორის ლრმულში (ბაზალეთის, ლისის), რომელთაც ახასიათებს გაზაფხულ-ზაფხულის

მაქსიმუმი და შემოდგომის (ოქტომბერ-ნოემბერი) მინიმუმი.

რამდენიმე ტბაზე შეიმჩნევა წყლის გამოსვლა ტბის გარეთ. ატმოსფერული ნალექებისა და მდინარეების წყლის რეჟიმის გარდა, გარკვეულ დღეებში შეიმჩნევა დონის მერყეობა ქარის ზემოქმედების შედეგად. ტბაზე ვიზუალური დაკვირვების თანახმად, დელვა ხშირია, ტალღის სიმაღლე 1 მ-ს აღწევს, შეიმჩნევა აგრეთვე ზედაპირული და ღრმა დინებები.

საქართველოს მთიანი, შედარებით დიდი ტბების წყლის ბალანსი მოცემულია ცხრილში 3.5.4.

ცხრილი 3.5.4

საქართველოს ტბების წყლის ბალანსი

ტბა	შემოდინება			ხარჯი			წყლის ბალანსის ნარჩენი წელი	
	შემოდინების ელემენტები	მ ³	%	ხარჯის ელემენტები	მ ³	%	მ ³	%
1	2	3	4	5	6	7	8	9
ფარავანი	Y	$26,3 \cdot 10^6$	25,7	Y_1	$44,5 \cdot 10^6$	43,5		
	X	$76,1 \cdot 10^6$	74,3	Z	$24,1 \cdot 10^6$	23,6	$33,7 \cdot 10^6$	32,9
	შემოდინება	$102,4 \cdot 10^6$	100	ხარჯი	$68,6 \cdot 10^6$	67,1		
ტაბაზე	Y	$9,0 \cdot 10^6$	20,4	Y_1	—	—		
	X	$35,1 \cdot 10^6$	79,6	Z	$9,7 \cdot 10^6$	21,9	$34,4 \cdot 10^6$	78,1
	შემოდინება	$44,1 \cdot 10^6$	100	ხარჯი	$9,7 \cdot 10^6$	21,9		
მადათაფა	Y	$6,3 \cdot 10^6$	10,0	Y_1	$32,8 \cdot 10^6$	51,8		
	X	$57,1 \cdot 10^6$	90,0	Z	$5,7 \cdot 10^6$	9,0	$24,9 \cdot 10^6$	39,2
	შემოდინება	$63,4 \cdot 10^6$	100	ხარჯი	$38,5 \cdot 10^6$	60,8		
ხანჩალი	Y	$9,1 \cdot 10^6$	14,9	Y_1	$32,2 \cdot 10^6$	52,8		
	X	$51,8 \cdot 10^6$	85,1	Z	$8,8 \cdot 10^6$	14,4	$20,9 \cdot 10^6$	32,8
	შემოდინება	$60,9 \cdot 10^6$	100	ხარჯი	$40,0 \cdot 10^6$	67,2		
სალამო	Y	$3,3 \cdot 10^6$	2,1	Y_1	$174,2 \cdot 10^6$	109,9		
	X	$155,2 \cdot 10^6$	97,9	Z	$3,2 \cdot 10^6$	2,0	$18,8 \cdot 10^6$	11,9
	შემოდინება	$158,5 \cdot 10^6$	100	ხარჯი	$177,4 \cdot 10^6$	111,9		
კარწახი (ხოზაპინი)	Y	$14,7 \cdot 10^6$	31,8	Y_1	—	—		
	X	$31,5 \cdot 10^6$	68,2	Z	$17,1 \cdot 10^6$	37,0	$29,1 \cdot 10^6$	63,0
	შემოდინება	$46,2 \cdot 10^6$	100	ხარჯი	$17,1 \cdot 10^6$			
ბაზალეთი	Y	$0,8 \cdot 10^6$	40,0	Y_1	—	—		
	X	$1,3 \cdot 10^6$	60,0	Z	$1,2 \cdot 10^6$	57,1	$0,9 \cdot 10^6$	42,9
	შემოდინება	$2,1 \cdot 10^6$	100	ხარჯი	$1,2 \cdot 10^6$	57,1		
ყელისტება	Y	$2,3 \cdot 10^6$	16,2	Y_1	—	—		
	X	$11,9 \cdot 10^6$	83,8	Z	$0,45 \cdot 10^6$	3,2	$13,8 \cdot 10^6$	96,8
	შემოდინება	$14,2 \cdot 10^6$	100	ხარჯი	$0,45 \cdot 10^6$	3,2		
რიწა	Y	$2,9 \cdot 10^6$	1,0	Y_1	—	—		
	X	$292,9 \cdot 10^6$	99,0	Z	$1,1 \cdot 10^6$	0,4	$294,7 \cdot 10^6$	99,6
	შემოდინება	$295,8 \cdot 10^6$	100	ხარჯი	$1,1 \cdot 10^6$	0,4		
პალიასტომი	Y	$36,4 \cdot 10^6$	5,9	Y_1	—	—		
	X	$581,0 \cdot 10^6$	94,1	Z	$17,8 \cdot 10^6$	2,9	$599,6 \cdot 10^6$	97,1
	შემოდინება	$617,4 \cdot 10^6$	100	ხარჯი	$17,8 \cdot 10^6$	2,9		

Y – ჯამური ჩამონადენი ტბის აუზიდან; X – ნალექების რაოდენობა ტბის ზედაპირზე;

Y_1 – ტბიდან გამოდინებული ხარჯის მოცულობა; Z – ტბის ზედაპირიდან აორთქლებული წყლის რაოდენობა.

ცხრილში მოყვანილი ტბების პიდრომეტეოროლოგიური მონაცემებით ყველაზე კარგად უზრუნველყოფილია ტბა ფარაგანი, რომლისთვისაც არსებობს მონაცემები აორთქლების, ნალექების და ჩამონადენების შესახებ. ფარაგნის ტბის აუზის ჩამონადენის მნიშვნელოვანი ნაწილი მიწისქვეშა გზით გადის აუზიდან.

ტაბაწყურის ტბის წყლის ბალანსის ნარჩენი წევრი შემოდინების დიდ ნაწილს, 78,1%-ს შეადგენს, რადგან ტაბაწყური ჩამონადენის ტიპის ტბაა. მიწისქვეშა ნაკადის ხარჯი შეადგენს 1,09 მ³/წმ-ს. იგი კვებავს მძლავრ ვულკანურ წყაროებს მდ. ხრამის ხეობაში.

მადათაფის, ხანჩალის და საღამოს ტბები, რომლებიც, ფარაგნისა და ტაბაწყურის ტბებთან ერთად, განლაგებულია ჯავახეთის ვულკანურ ზეგანზე, პიდრომეტეოროლოგიური მონაცემებით, არასაკმარისადაა უზრუნველყოფილი, რაც აიხსნება მიწისქვეშა წყლების ცვლის დადებითი ან უარყოფითი გავლენით მეზობელ აუზებთან. მადათაფის ტბიდან, ზედაპირული ჩამონადენის გარდა, ადგილი აქვს მიწისქვეშა ჩამონადენსაც, რაზეც იხარჯება შემონადენის 39,2%.

ბაზალეთის ტბა მდებარეობს ზღვის დონიდან 876 მ სიმაღლეზე და აქვს მცირე წყალშემკრები ფართობი (14,4 კმ²). ნარჩენი შეადგენს შემოდინების 45,1%-ს, რაც მცირე ნაკადულის წლიური ჩამონადენია, რომელიც გამოედინება ტბის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილიდან. ამ ნაკადის ხარჯი შეადგენს 0,02-0,03 მ³/წმ.

ყელისტბა – ვულკანურ ზეგანზეა, 291,4 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. სარკის ფართობი და წყალშემკრები ფართობი დიდი არ არის (1,28 კმ² და 7,56 კმ²). აორთქლება – შემოდინების 3,2%, დანარჩენი ნაწილი (96,8%) მიდის ტბის ჩამონადენზე. ამ ტბიდან სათავეს იღებს მდ. ქსანი, რომლის ხარჯი შეადგენს ≈0,5 მ³/წმ.

სითბოს განაწილება ტბის წყლის მასაში უკავშირდება მასში მიმდინარე დინებებს, რაზეც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ქვაბულის აგებულება.

აგვისტოდან დაწყებული, წყლის ტემპერატურა ეცემა, ოქტომბერში ჯავახეთის ზეგანის ტბებზე 5-7°-ია, რიწაზე – 11,2°, 13-17° – კოლხეთის დაბლობის ტბებზე. საშუალო დღედამური ტემპერატურული გადასვლა 10°-ია სექტემბრის მესამე დეკადაში ჯავახეთის ზეგანზე მდებარე ტბებში, მტკვარ-ალაზნის ტბებზე – ოქტომბრის ბოლოს, კოლხეთის დაბლობზე – ნოემბრის მეორე დეკადიდან და კავკასიონის სამხრეთ ფერდობის ტბებზე – ოქტომბრის მესამე დეკადაში.

წყლის ინტენსიური გაცივება ხდება ოქტომბერში და ნოემბერში. ჯავახეთის ტბებზე ნოემბრის დასაწყისში წყლის საშუალო დღედამური ტემპერატურა ეცემა 4°C-ის ქვევით. წყლის ტემპერატურის 4°-ით დაცემა მტკვარ-ალაზნის ღრმულზე იწყება დეკემბრის დასაწყისში. გადასვლის ადრეული თარიღი ჯავახეთის ტბებზე – ოქტომბრის მეორე დეკადაშია, გვიანი – ნოემბრის მეორე ნახევარში. ანალოგიური თარიღები კოლხეთის დაბლობის ტბებზე და კავკასიონის ღრმა ტბებში არ აღინიშნება, რადგან დეკემბერში ტემპერატურა 4°-ის ზევითაა.


წყლის საშუალო დღედამური ტემპერატურის გადასვლა 0,2°-ით აღინიშნება მხოლოდ ფარაგნისა და ტაბაწყურის ტბებზე, ნოემბრის მესამე და დეკემბრის მეორე დეკადაში. საქართველოს სხვა დაბალმთიან და დაბლობის ტბებში წყლის ტემპერატურა 0°-ის ზევითაა.

წყლის ტემპერატურის ერთდროულმა გაზომვამ პალიასტომის, საღამოს და ფარაგნის ტბების ზედაპირულ ფენებში ნაპირთან და აკვატორიაში გამოავლინა მჭიდრო კავშირი მათ შორის.

საშუალო თვიური ტემპერატურის მერყეობის ამპლიტუდა წყალმარჩხი ტბებისათვის უფრო დიდია, ვიდრე ღრმა ტბების. პალიასტომის ტბის ტემპერატურის წლიური მერყეობის ამპლიტუდა შეადგენს 20,1°, მაშინ, როცა რიწის ტბისათვის ის დაბალია (13,6°).

ტბის ბენთოსი წარმოდგენილია ლურჯ-მწვანე და ღიატომური წყალმცენარეებით, რომლებიც ფარავს სანაპირო ზოლის ქვებს. ცხოველური ბენთოსი წარმოდგენილია ჭუპრებით, წურბელებით, მოლუსკებით, წყლის ბადლინჯოებით, ჭრიჭინების ლარვებით. ტბის უფრო ღრმა ადგილებში ქირომონდების ლარვებია, წყლის ვირის, მცირე ზომის ოლიგოხეტები.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე 800 ტბაა. მათი მახასიათებლები მოყვანილია ცხრილებში 3.5.5; 3.5.6 (ნახ. 3.5.3).



ნახ. 3.5.3. დასავლეთ საქართველოს ძირითადი ტბების ფორმა
(თანაფარდობით მასშტაბში 1:250000)

ცხრილი 3.5.5

დასავლეთ საქართველოს ძირითადი ტბების ანბანური ჩამონათვალი

№	დასახელება	განლაგება რუკაზე	№	დასახელება	განლაგება რუკაზე
1	2	3	1	2	3
1	ადუელა; აძიში	დას. III: გ3	17	ნაძარონი	დას. V: ღ1; დას. VI: გ3
2	ამტყელი	დას. II: ბ1	18	ნარტო-წყალი	დას. V: ა2
3	ამმახი	დას. II: გ1	19	ოხოჯი	დას. IV: გ3
4	ბაბუშკინო	დას. IV: ვ2; დას. IX: ბ2	20	პალიასტომი	დას. V: ა1, ბ1; დას. VI: ა3
5	ბურიგიზი	დას. II: ბ2	21	პატარა ოქროწყალი	დას. III: გ3; დას. VIII: ა1
6	დევი	დას. IX: ე1; დას. X: გ1; დას. XII: ბ4	22	პატარა პალიასტომი	დას. V: ბ1; დას. VI: ა3
7	დიდი ოქროწყალი	დას. III: ე3; დას. VIII: ა2	23	პატარა ფარავანი	დას. V: ღ1; დას. VI: 6ა
8	დიდი ფარავანი	დას. V: ღ1; დას. VI: ბ3	24	რიწა	დას. I: გ4
9	ერწო	დას. X: ე1; დას. XII: ღ4	25	ტბაანი	დას. II: ა3
10	გერუხლი	დას. II: ბ3	26	ტობა- ვარჩხილი	დას. IV: ღ3
11	იმნათი	დას. I: ბ1; დას. VI: ა3	27	ტოფი	დას. II: ე1; დას. VIII: ა2
12	ინკითი	დას. I: ბ2	28	ფსიკვა	დას. II: ბ2
13	ლახტა	დას. II: ბ1, გ1	29	ქვედი	დას. X: ღ2, ე2; აღმ. VI: ა4
14	მხი	დას. I: გ4	30	შაგი ტბა	დას. X: ბ2
15	მიწარა	დას. II: ბ3	31	სარკალუ	დას. V: ა3
16	მწვანე	დას. I: ბ3	32	ჯუგა	დას. II: გ2

**დასავლეთ საქართველოს ტბების ძირითადი მაჩვენებლები
($V > 1$ მლნ.მ³)**

№	ტბის დასახელება	ტბის განლაგების ადმინისტრაციული რაიონი	ტბაში წყლის მოცულობა, მლნ.მ ³	სარკის ფართობი, კმ ²	საშუალო სიღრმე, მ
1	2	3	4	5	6
1	რიწა	გუდაუთა	94,00	1,49	63,10
2	პალიასტომი	ფოთი	52,00	18,20	2,60
3	ამტყელი (აზანტი)	გულრიფში	18,50	0,58	29,60
4	ადუედააძიე	ოჩამჩირე	9,48	29,60	0,32
5	ტობავარჩხილი	წალენჯიხა	33,31	15,80	0,21
6	მცრა	სოხუმი	2,68	17,90	0,15
7	ნარიონალი	ლანჩხუთი	1,49	0,88	0,17
8	დიდი ბებესირი	გალი	1,40	2,30	0,61
9	ოქროწყალი	ოჩამჩირე	1,20	12,00	0,10
	სულ		184,06	98,75	

**დასავლეთ საქართველოს ძირითადი ტბების
($V > 1$ მლნ. მ³) დახასიათება**

რიწის ტბა (დიდი რიწა) მდებარეობს გაგრიდან 50 კმ-ის დაშორებით, მდ. ბზიფის აუზში, მდ. ლოშაპსეს დრმა ხეობაში. ტბა გამდინარეა, წარმოიქმნა გრანდიოზული ჩამოქცევის შედეგად მდ. ლოშაპსეს ხეობაში. მისი წყალშემკრები აუზის ფართობი 154 კმ²-ია, მაღალმთიანი, ძლიერ დასერილი ალპური რელიეფით. 3000 მეტრის ზევით შეიმჩნევა ძველი გამყინვარების კვალი. გვხვდება მთის პატარა ტბები. ასეთი ტბები აუზში 15-მდეა. ქვედის ქვედა კალთები აუზის ტერიტორიაზე დანაწევრებულია ლოშაპსეს და ავადხარას შენაკადი მდინარეებით. აუზის ნიადაგ-მცენარეული საფარი ხასიათდება კარგად გამოხატული მაღალი სარტყელიანობით. ქვედის კალთები 700-დან 1900 მ სიმაღლეზე დაფარულია ძირითადად წიფლით, ქვედა ზონაში – რცხილა, ნეკერჩხალი, ცაცხი, ნაძვი, პიხია, ასევე ქვეტაში გვხვდება როდოდენდრონი.

ტყეების ზევით, 2200-2300 მ-დე სუბალპური სარტყელია სუბალპური ტყეებით (არყის ხე), როდოდენდრონის ბუჩქნარებით. სუბალპური გადადის ალპურში 2600-2700 მ-დე. მაღალი სარტყლიანობა მთავრდება კლიფის მცენარეულობით და სუბნივალური სარტყლის ჩამონაფშვენით. მდ. რიწის აუზი ხასიათდება ძლიერი ჰიდროგრაფიული ქსელით. მდინარეთა ქსელის სიმრავლე (2,0-2,5 კმ/კმ²) განპირობებულია ნალექების სიუხვით, რომელიც მოდის აუზში. ექვსი მდინარიდან მთავარია მდ. ლოშაპსე, რომლის აუზის ფართობი (142 კმ²) ტბის აუზის 92,2%-ს შეადგენს. ტბიდან გამოდის მხოლოდ ერთი მდინარე – იუფშარა, რომელიც 0,5 კმ-ის შემდეგ ჩაედინება მიწისქვეშ და ზედაპირზე ჩნდება 2 კმ-ს შემდეგ. ტბა არასწორი ფორმისაა. გაჭიმულია აღმოსავლეთიდან დასავლეთით. სანაპირო ზოლის დასერილობის კოეფიციენტი 1,7-ს შეადგენს. ტბის ნაპირები მაღალია. ქვედა ქვიშიანი ნაპირის სიგრძე 0,4 კმ-ია. დაბალი ნაპირებია ასევე ტბის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, სადაც ჩაედინება მდინარეები პსეი და აცეტუკა. ნაპირები შექმნილია ნაცრისფერი და მწვანე პორფირიტებით და პიროქსენიტებით, მხოლოდ მდ. იუფშარას სათავესთან გვხვდება კირქვა.

ტბის ქვაბულის ფსკერი ბრტყელია. წყალქვეშა კალთების დახრილობა 45-60°-ია. ფსკერის შედარებითი სისწორე უკავშირდება მასზე ნატანის დაგროვებას, რომელიც ტბის შენაკადებს მოაქვს. ფსკერის გრუნტი ერთგვაროვანია, ნაპირის გასწვრივ გრუნტი წარმოდგენილია ქვიშით. ტბის დრმა ნაწილში ფსკერი ლამიანია, დაბალი

დისპერსიულობით და დიდი რაოდენობით შეიცავს მიკროაგრეგატებს (0,001 მმ). მცირე ზომის აგრეგატები შეადგენს 8%-ს (სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში) და 4%-ს (დანარჩენ ნაწილში).

გრუნტში აღინიშნება ჰუმურის საკმაოდ მაღალი შემცველობა (2,38-5,33%).

ტბის წყლის დონის რეენიმი განისაზღვრება მისი შენაკადების რეჟიმით. გაზაფხულზე დონის აწევა იწყება მარტის ბოლოს – აპრილის დასაწყისში, უმაღლესი აწევა აღინიშნება მაისში და გრძელდება ივნისის ბოლომდე. დონის აწევა საშუალოდ შეადგენს 1,5-2 მ-ს.

მინიმალური თვიური ტემპერატურა ტბის ზედაპირულ ფენებში აღინიშნება მარტში და ტოლია $3,2^{\circ}$. წყლის ტემპერატურის განაწილება ვერტიკალის მიხედვით სეზონურად შემდეგ სურათს იძლევა: ზამთარში აღინიშნება ჰომოთერმია, ზედაპირული და ფსკერული ფენების ტემპერატურა მერყეობს 4° -ის საზღვრებში, გრძელდება აპრილის პირველ დეკადამდე, რის შემდეგაც მყარდება პირდაპირი ტემპერატურული სტრატიფიკაცია. ტბა იყინება მცაცრ ზამთარში, მისი ზედაპირი იფარება ყინულის თხელი, 1-1,5 სმ ფენით. ტბის საშუალო წლიური მინერალიზაცია შეადგენს 66 მგ/ლ-ს. მისი წყალი ეკუთვნის პიდროკარბონატულ კლასს, კალციუმის ჯგუფს. წყლის ფერი იცვლება წლის სეზონების მიხედვით. გაზაფხულზე იგი მოყვითალო-მომწვანოა, ზამთარში – მოცისფრო-მოლურჯო. გამჭვირვალობა მერყეობს – გაზაფხულზე $0,5-1,5$ მ, ზამთარში – $10-11$ მ. ტბის ფიტოპლანქტონი საკმაოდ მდიდარია. გაზაფხულზე დომინირებს დიატომური და ლურჯ-მწვანე წყალმცენარეები, ზაფხულში – მწვანე, შემოდგომაზე მწვანე და ლურჯ-მწვანე, ზამთარში – დიატომური. იხთიოფაუნის ერთადერთი წარმომადგენელია კალმახი.

მზის ტბა მდებარეობს გუდაუთის რაიონში, აცეტუგის ჩრდილოეთ კალთაზე, 2053,4 მ სიმაღლეზე, მდ. ბზიფის აუზში. იგი მთის პატარა, გამდინარე ტბაა. მისგან გამოედინება მდ. მზიმნა, მდ. ავადხარას მარჯვენა შენაკადი. ტბის ჩრდილოეთით, 5 კმ-ზე, მდებარეობს ბალნეოლოგიური კურორტი ავადხარა.

ტბის წყალშემკრები აუზის ფართობი 0,8 კმ²-ია, წარმოადგენს ძველ მყინვარულ მრგვალ დრმულს, ჩრდილო-დასავლეთით, სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით გარს ერტყმის 2330-2550 მ სიმაღლის კლდის სვეტები, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით გახსნილია, სადაც ეშვება მზიმნის მყინვარი.

ლრმულის დამრეცი ფერდობები დაფარულია კორდინი ნიადაგით, რომელზეც იზრდება სუბალპური ან ალპური ველები. აუზის პიდროგრაფიული ქსელი სუსტია.

ტბის ქვაბული, რომელიც წარმოადგენს მყინვარული ლრმულის ფსკერს, ჩრდილო-აღმოსავლეთით შემოსაზღვრულია რიგელით.

ტბას სწორკუთხედის ფორმა აქვს, სანაპირო ზოლი მცირედად დასერილი.

ნაპირები დაბალი და დამრეცია, დაფარულია ბალახოვანი საფარით. ტბის ფსკერი, მორენული დანალექების გამო, არასწორია. ფსკერი დაფარულია ლამის 5-10 სმ სისქის ფენით.

ტბის მორფომეტრული მაჩვენებლებია:

სარკის ფართობი – $0,044$ კმ²; წყლის მოცულობა – $225\ 100$ მ³; მაქსიმალური სიღრმე – $11,5$ მ; საშუალო სიღრმე – $5,1$ მ.

ტბა იკვებება როგორც გამდნარი თოვლის, ისე წვიმის და მიწისქვეშა წყლებით.

წყლის დონის მაქსიმუმი არის ზაფხულის დასაწყისში, მინიმუმი – ზამთრის მეორე ნახევარში. დონის წლიური მერყეობა $0,6-0,8$ მ-ია.

ზაფხულში ზედაპირული ფენის ტემპერატურა $14-16^{\circ}$ -ია, ფსკერის – 4° , ზამთარში ტბა იფარება ყინულის სქელი ფენით, რის შედეგად ტბა რჩება ყინულის ქვეშ ივნისის მეორე ნახევრამდე, ზოგჯერ ივლისამდე. წყალი გამჭვირვალეა, ცისფერი, ვარგისია დასალევად. ტბაში კალმახია.

ინიკითის ტბა. მდებარეობს შავი ზღვის ნაპირზე, გაგრის რაიონში, ბიჭვინთიდან

3 კმ-ში. ტბა გამდინარება. წყალშემკრები აუზის ფართობი 19,2 კმ²-ია. დაბლობის სიმაღლე მერყეობს 1-დან 5 მ-მდე. დაჭაობებულ დაბლობს ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ეკვრის ძლიერ დანაწევრებული მიუსერას მაღლობი, რომელიც წყალშემკრების დიდი ნაწილს იკავებს. ბორცვების სიმაღლე მერყეობს 80-დან 190 მ-მდე. ჭაობიან ნიადაგზე განვითარებულია ჭაობის მცენარეულობა, მურა ნიადაგებზე განვითარებულია ფართოფოთლოვანი ტყე, კოლხეთის ტიპის (მუხა, რცხილა). მცირე მდინარეები: ადზიდუ, ალდხივა და სხვ., რომლებიც ჩაედინება ჭაობში, ვიწრო ხეობებით ანაწევრებს მიუსერას მაღლობს.

ტბის ქვაბული წარმოქმნილია ზღვისგან ქვიშიანი ზოლით მცირე ყურეს გამოყოფის შედეგად. ამჟამად იგი გამოყოფილია ზღვისაგან ქვიშიანი დიუნების რიგით, რომელთა სიგანე 380 მ-ია.

ტბა ოვალური ფორმისაა, სანაპირო ზოლი სუსტადაა დასერილი. ნაპირები დაბალია. ფსკერის გრუნტები ქვიშიან-ლამიანია, მცენარეული ნარჩენების მინარევებით. ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ნაპირების ვიწრო ზოლს ქმნის ჭაობის მცენარულობა.

ტბის მორფომეტრული მაჩვენებლებია:

სარკის ფართობი – 0,4 კმ²; მაქსიმალური სიღრმე – 3 მ.

ტბის მაქსიმალური სიღრმე აღრე ამჟამინდელზე 1,5 მ-ით მეტი იყო. ეს აიხსნება იმით, რომ ჭაობების ამოშრობის მიზნით, მელიორატორების მიერ სატუმბი სადგურების საშუალებით მნიშვნელოვნად იქნა დაწეული ტბის დონე.

ტბის ამჟამინდელი დონე დაბალია (1 მ-ით) შავი ზღვის დონეზე, მისი ფსკერი კი შავი ზღვის ფსკერზე 4 მ-ით ქვევითაა.

ზაფხულში წყალი თბება 25-28°-მდე, ღელვის და ქარების გამო წყალი თბება ფსკერამდე. ზამთარში წყალი 5-6°-ით ცივდება, თუმცა იშვიათად იყინება.

წყალი მარილიანია, მკვრივი ნარჩენი 170,4 მგ/ლ-ს შეადგენს. ძირითადი მასა წარმოდგენილია კარბონატებით. უანგბადით გაჯერება ნორმალურია. წყლის ფერი მურაა, გამჭვირვალობა ცუდია (0,5-1 მ). წყალს აქვს უსიამოგნო გემო და სუნი, დასალევად უვარებისია.

ფიტოპლანქტონი წარმოდგენილია ლურჯ-მწვანე, დიატომური და მწვანე წყალმცენარეებით. ზოოპლანქტონი – კიბოებით, ბენთისი – ქირონიმიდებით, ჭუპრებით, მოლუსკებით. ტბაში 10 სახეობის თევზია. მათგან სამრეწველო მიზნით გამოირჩევა კობრი, ფარგა და კეფალი.

ადუედამიშის ტბა მდ. კოდორის აუზშია, კოდორის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, ოჩამჩირის რაიონში, 2410,8 მ სიმაღლეზე, ტყვარჩელიდან 15 კმ-ის ჩრდილოეთით.

ტბის წყალშემკრები აუზი წარმოადგენს მეინგარულ მრგვალ ღრმულს 2,3 კმ² ფართობით. ღრმულის დამრეცი ქადები ალპური მცენარეულობითაა დაფარული. აუზის პიდროგრაფიული ქსელი წარმოდგენილია სამი მცირე შენაკადით.

ტბის ქვაბული მეინგარული ღრმულის ფსკერია, გაჭირებულია მერიდიანის მიმართულებით. ნაპირები დაუნაწევრებელია. ჩრდილოეთით ქვაბული ჩაკეტილია მაღალი რიგელით, რომელზეც გადადის ტბის წყალი, აძლევს საწყისს მდ. ადუედას და წარმექნის 15 მ სიმაღლის ლამაზ ჩანჩქერს. ტბის ფსკერი არასწორია, განსაკუთრებით სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, რაც გამოწეულია მორქნული დანალექებით. ფსკერის გრუნტები წარმოდგენილია ლია-ნაცრისფერი ლამის სახით.

ტბის მორფომეტრული მაჩვენებლებია:

სარკის ფართობი – 0,32 კმ²; წყლის მოცულობა – 9 482 000 მ³; მაქსიმალური სიღრმე – 64 მ; საშუალო სიღრმე – 29,6 მ.

ტბა იკვებება თოვლის, წვიმის და მიწისქვეშა წყლებით. წყლის მაქსიმალური დონე იგნისშია, მინიმალური – ზამთარში. დონის წლიური მერყეობა 0,6-0,7 მ-ია.

ზამთარში ტბა იფარება ყინულის სქელი ფენით, იყინება ნოემბრის მეორე ნახევარში და დნება იგნისის მეორე ნახევარში. ზაფხულში წყლის ზედაპირული ფენის

ტემპერატურა 16-18°-ია, 50 მ სიღრმეზე 4°-ია. ტბა ეკუთვნის მცირედ მინერალიზებულ წყალსატევებს. წყალი ცისფერია, გამჭვირვალობა 16 მ-ია, გემრიელია და დასალევად ვარგისია. თევზები არ არის.

გორაფის (კვარაშის) ტბა გულრიფშის რაიონშია, მდ. ჩხალთის აუზში, 2175 მ სიმაღლეზე. ტბა გამდინარეა. წყალშემკრები აუზის ფართობია 5,8 კმ². ხასიათდება ტიპური მაღალმთიანი მყინვარული რელიეფით. ქედის კალთები დაფარულია მთიან-ალპური და სუბალპური ნიადაგებით. ჰიდროგრაფიული ქსელი სუსტია. წყალშემკრებ აუზში არის ტბა სარკის ფართობით 0,02 კმ², 2378 მ სიმაღლეზე – ტბის ქვაბული წარმოადგენს მყინვარულ ღრმულს, სამი მხრიდან შემოსაზღვრულს 2550-2600 მ სიმაღლის ქედებით. ჩრდილო-აღმოსავლეთით ქვაბულს ესაზღვრება დიდი კლდის ლოდები. ტბას მსხლისებური ფორმა აქვს, სანაპირო ზოლი დასერილია სუსტად. ტბის ფსკერი სწორია, დაფარულია ნაცრისფერი ლამით.

ტბის ძირითადი მორფომეტრული მახასიათებლებია:

სარკის ფართობი – 0,077 კმ²; წყლის მოცულობა – 593 000 მ³; მაქსიმალური სიღრმე – 15,6 მ; საშუალო სიღრმე – 7,7 მ.

ტბას კვებავს მცირე შენაკადები, მისგან გამოედინება მდ. გორაფი. წყალი, ძირითადად, გაედინება მიწისქვეშა გზით. ამის მიუხედავად, დონის წლიური მერყეობა 0,8-1 მ-ია.

ზაფხულში ტბაზე მყარდება პირდაპირი ტემპერატურული სტრატიფიკაცია, ზედაპირული ფენის ტემპერატურა არ აჭარბებს 15-16°ს. ექვსი თვის მანძილზე ტბა დაფარულია ყინულით. წყალი სუსტად მინერალიზებულია, ლურჯია, დამაკმაყოფილებელი გამჭვირვალობის, უსუნო, სასმელად ვარგისია. ტბა მდიდარია კალმახით.

დერიქვარააბიშის ტბა ოჩამჩირის რაიონშია, კოდორის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდ. კაბირვაშქვარას დასაწყისში, 2531 მ სიმაღლეზე. ტბა გამდინარეა.

წყალშემკრები აუზის ფართობი 2,5 კმ²-ია, ხასიათება მაღალმთიანი მყინვარული რელიეფით. ტბის გარშემო 2500-2650 მ სიმაღლის მთებია, რომელთა დამრეც კალთებზე ალპური, უმეტესად პრიმიტიული ნიადაგებია, დაფარული ალპური მცენარეულობით.

ტბის ქვაბული წარმოადგენს მყინვარულ ღრმულს, რომლის ფსკერი უკავია ტბას. ტბას აქვს არასწორი ტრაპეციის ფორმა, სანაპირო ზოლი სუსტადა დასერილი. ტბა გაყოფილია ორ არასწორ ნაწილად წყალქვეშა მორენით, რომელზეც ტბის სიღრმე 3,4 მ-ია. ტბის ფსკერი დაფარულია ნაცრისფერი ლამის თხელი ფენით.

ტბის მორფომეტრული მაჩვნებლებია:

სარკის ფართობი – 0,081 კმ²; წყლის მოცულობა – 654 000 მ³; მაქსიმალური სიღრმე – 22 მ; საშუალო სიღრმე – 8,1 მ.

ტბას კვებავს თოვლის დნობის შედეგად წარმოქმნილი რამდენიმე შენაკადი. წყლის მაქსიმალური დონე ივნისშია, მინიმალური – ზამთარში. დონის წლიური მერყეობა 0,7-1,0 მ-ია.

ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხიდან გამოსული წყალი მიწისქვეშ გადის 25-30 მ-ს და გამოდის მიწის ზედაპირზე მდლავრი წყაროს სახით, რომელიც საწყისს აძლევს პატარა მდინარეს. ზაფხულში ტბაზე მყარდება ტემპერატურული სტრატიფიკაცია, ზედაპირული ფენის ტემპერატურა 18-20°-ია, სიღრმესთან ერთად მცირდება და ფსკერზე 4°-ია.

შვიდი თვის განმავლობაში ტბა დაფარულია ყინულის სქელი ფენით.

წყალი ლურჯია, გამჭვირვალე (16,5 მ), გემრიელია, სუსტად მინერალიზებული. ვარგისია სასმელად. ტბაში თევზი არ არის.

ამტყელის (აზანტის) ტბა გულრიფშის რაიონშია, სოხუმიდან 48 კმ-ზე. მდ. ამტყელის – მდ. კოდორის მარჯვენა შენაკადის ხეობაში, 512 მ სიმაღლეზე. წყალი ტბიდან გაედინება მიწისქვეშა გზებით, რაც განაპირობებს წლის განმავლობაში დონის გავრცელებას. მისი წყალშემკრები აუზი 153 კმ²-ია, მდებარეობს ჩხალთის ქედის

სამხრეთ კალთაზე, სხაფათ-ამლარის და ლიხტინის ქედებს შორის. ტბის შემოგარენი ხასიათება დაბალმთიანი დანაწევრებული რელიეფით, 700-1400 მ სიმაღლით. ქედების სიმაღლე 2000-2400 მ-ია. მდ. ამტყელის და მისი შენაკადის, კულამბის ზემო წელში მაღალმთიან რელიეფს წარმოადგენს ჩხალთის ქედი 2800-2900 მ სიმაღლით. მასზე კარგადაა შემონახული ძველი გამყინვარების კვალი, რაც აძლევს მაღალმთიან ალპურ ხასიათს.

ნიადაგ-ტცენარეული საფარი გამოირჩევა კარგად გამოხატული მაღალსარტყელიანობით. დაბალი სარტყელი (700 მ-მდე) უკავია კოლხეთის ტყეებს, რომელთა ძირითადი ედიფიკატორებია მუხა, წაბლი, წიფელი და ცაცხვი სხვა ჯიშის ხეებთან ერთად. გვხვდება რელიებური ხეები, ტყის ქვევით კი პონტოური როდოდენდრონი და ფოთოლ-ცვენია. კოლხეთის ტყეებში ბევრი ლიანაა: სასაპრილი, ტამესი, ლიმონორი და სხვ. ამ ტყეების ზევით მთის ტყეების სარტყელია 700-დან 1800 მ სიმაღლემდე. აქ გავრცელებულია აღმოსავლური წიფელი. მათ ქვევით ტყის მურა ნიადაგებია.

1800ს-დან 2300 მ სიმაღლემდე სუბალპური სარტყელია, წარმოდგენილი ბუჩქნარებით.

ალპური მინდვრებისა და მდელოების სარტყელი ვრცელდება 2300 მ-დან 2800 მ სიმაღლემდე. ამ სარტყელში განვითარებულია ალპური მინდვრები და ალპური მდელოები, კავკასიური როდოდენდრონის ცალკეული ლაქებით.

მდ. ამტყელის აუზს განვითარებული ჰიდროგრაფიული ქსელი აქვს. ტბაში ჩაედინება ერთადერთი მდ. ამტყელი, შენაკადებიდან აღსანიშნავია მარცხენა შენაკადი – მდ. კულამბა, რომელიც ჩხალთის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთიდან იღებს სათავეს.

ტბის ქვაბული კანიონის ფორმის მდინარის ხეობის მონაკვეთია, რომელიც ქვედა ნახევარში აგებულია ზედაიურული და ქვედაცარცული კირქვებით, ზედა ნახევარში – შუაიურული პორფირიტული ბაიოსით. ტბა წარმოიქმნა მდ. ამტყელის კლდოვანი ჩამონაშალით დატბორვის შედეგად 1891 წელს, როცა ჩამოიშალა მცირე სხაპაჩის მთის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობი, რასაც ხელი შეუწყო კარსტულმა პროცესებმა, ასევე მიწისძვრებმა. მისი სიგრძე 1 კმ-ია, სიმაღლე 150-170 მ. ტბას უკავია ქვაბულის ქვედა ნაწილი. მისი ჩრდილოეთ ნაწილი გრძელი და ვიწროა, სამხრეთი – უფრო ფართო (\approx 0,5 კმ).

ნაპირები დასერილია სუსტად, კუნძულები არ არის. სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირზე გაფანტულია მარმარილოს უშველებელი ლოდები. წყლის დიდი ხნით დგომისას ნაპირები იტბორება.

ქვაბულის წყალქვეშა კალთები ძლიერ დამრეცია. ფსკერის რელიეფი ბრტყელია, თანდათან დაბლდება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მდ. ამტყელს ტბაში ჩააქს მყარი ნატანის დიდი რაოდენობა, განსაკუთრებით ტბის ჩრდილოეთ ნაწილში. წყლის და წყლისმოყვარული მცენარეულობა ტბაში არ არის.

ტბის მორფომეტრული მაჩვენებლები დაბალი დონის დროს:

სარკის ფართობი – 0,58 კმ²; წყლის მოცულობა – 18 450 000 მ³; მაქსიმალური სიღრმე – 65,5 მ; საშუალო სიღრმე – 31,8 მ.

ყველა ეს მაჩვენებელი იზრდება (1,5-ჯერ) წყლის მაღალი დგომისას, როცა მაქსიმალური სიღრმე აღწევს 90-95 მ-ს.

წყლის მაქსიმალური დონე მაისშია, მისი მთავარი შენაკადის, მდ. ამტყელის წყალდიდობისას. ამ დროს ტბის სიგრძე იზრდება 4 კმ-მდე. ივნისიდან იწყება დონის გარდა, მინიმუმს აღწევს სექტემბერში. ოქტომბრიდან, წვიმების შედეგად, დონე ზემოთ იწევს.

ტბის დონის წლიური ამპლიტუდა კოლოსალურ სიდიდეს აღწევს. ცალკეულ წლებში ის 35-40 მ-ს შეადგენს.

წყლის დონის ასეთი მკვეთრი მერყეობა უკავშირდება ტბიდან მიწისქვეშა გადინებას. ჩამონაყარის ბოლოს გამდინარე წყალი დასაწყისს აძლევს მდ. ცივწყალას,

რომელიც შემდგომ მიედინება მდ. ამტყელის ძველ კალაპოტში და რამოღენიმე მანძილის გავლის შემდეგ ისევ შთაინთქმება ხეობის მარჯვენა მხარეს. წყლის დიდი ნაწილი ტბიდან გაედინება ბზარებით და დასაწყისს აძლევს მიწისქვეშა მდ. ამტყელს, 10 კმ-ის გავლის შემდეგ მდინარე ამოდის მიწის ზევით ორი გამოქვაბულიდან, მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირთან.

მდინარის ტემპერატურული რეჟიმი რიწის ტბის ანალოგიურია. ზაფხულში ტბაზე მყარდება პირდაპირი ტემპერატურული სტრატიფიკაცია, ივლისში და აგვისტოში წყლის ზედაპირულ ფენებში 18-20°-ია, ფსკერთან – 4-5°. ტბა მკვეთრად იყოფა ვერტიკალურ ტემპერატურულ ზონებით. ზამთარში პომოთერმიაა. ტბა არ იყინება. ტბა სუსტად მინერალიზებულია, ვარგისია დასალევად და სხვა სამეურნეო მიზნებისათვის. ის შეიძლება მიეკუთვნოს ტიპურ ოლიგოტროფულ ტბას. იქთიოფაუნა წარმოდგენილია კალმახით, წვერათი და სხვ. იყერობს ყურადღებას, როგორც ტურისტული ობიექტი.

დიდი ბებესირის ტბა გალის რაიონშია, ოქუმის აუზში, 15 მ სიმაღლეზე. ტბა გამდინარეა. მისგან გამოდის მდ. ჯაკობა.

მისი წყალშემკრები აუზის ფართობი 17,5 კმ²-ია, მდებარეობს სამეგრელოს ვაკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, რომლის სიმაღლე 20-დან 100 მ-მდეა. ნიადაგის საფარი წარმოდგენილია ყვითელი, მურა და კარბონატული ნიადაგებით. მისი დიდი ნაწილი უკავია ჩაის პლანტაციებს.

კალთაზე, სხაფათ-ამლარის და ლიხტინის ქედებს შორის. ტბის შემოგარენი ხასიათება დაბალმოთიანი დანაწევრებული რელიეფით, 700-1400 მ სიმაღლით. მდ. ამტყელის და მისი შენაკადის, კულამბის ზემო წელში მაღალმოთიან რელიეფს წარმოადგენს ჩასალთის ქედი 2800-2900 მ სიმაღლით. მასზე კარგადაა შემონახული ძველი გამყინვარების კვალი, რაც აძლევს მაღალმოთიან ალპურ ხასიათს.

ტბის ქვაბული წარმოადგენს სამი პატარა და არაღრმა ხეობის ნაერთს, რომელიც წარმოიქმნა ზღვის დიუნებით და სანაპირო ამაღლებით დაგუბების შედეგად. ტბა სამი ტორისგან შედგება: ჩრდილო-დასავლეთის ტოტი მერიდიანული მიმართულებისაა, სამხრეთ ნაწილში მას უერთდება ერთმანეთის პარალელური შუა და სამხრეთ ტოტები. სანაპირო ზოლი ძლიერდაა დასერილი. განვითარების კოეფიციენტი 1,9-ს ტოლია. ნაპირები მაღალია, დამრეცი, დაცულია ბალახეული მცენარეულობით.

ტბის ფსკერი სწორია, წყალქვეშა კალთები დამრეცია. ფსკერი დაფარულია ნაცრისფერი ლამის სქელი ფენით, მდიდარია მცენარეული ნარჩენებით. ძლიერად განვითარებული წყლის მოყვარული მცენარეულობა, რომლითაც დაფარულია მისი ფართობის 70%. ძალიან ბევრია წყლის კაკალი.

ტბის მორფომეტრული მაჩვენებლებია:

სარკის ფართობი – 0,61 კმ²; წყლის მოცულობა – 1 400 000 მ³; მაქსიმალური სიღრმე – 4,5 მ; საშუალო სიღრმე – 2,3 მ.

ტბა იკვებება მცირე შენაკადებით, ასევე ატმოსფერული ნალექებით და მიწის-ქვეშა წყლებით. წყლის მაქსიმალური დონე შემოღომასა და ზამთარშია, მინიმალური – გაზაფხულსა და ზაფხულში. წყლის დონის წლიური მერყეობა 0,8-1,0 მ-ია.

ზაფხულში ტბაზე მყარდება პირდაპირი ტემპერატურული სტრატიფიკაცია. ზედა-პირულ ფენებში 25-30°-ია, ფსკერთან – 13-15°. ზამთარში პომოთერმიაა. მიეკუთვნება სუსტად მინერალიზებულ ტბებს. წყალი მომწვანო-მურა ფერისაა, ცუდი გამჭვირვალობის (1,6-2 მ), უსიამოვნო გემოსი და სუნის, უვარგისია დასალევად. მდიდარია იქთიოფაუნით: კობრა, ლოქო და სხვ.

მის დასავლეთით მდებარეობს ბებესირის ტბა, რომელიც მისი მსგავსია და განსხვავდებდა ზომებით. მდ. ოქუმის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს პატარა ბებესირის ტბა – მცირე ზომის, წყალმარჩხი წყალსატევი.

ერწოს ტბა – მდებარეობს ჯავის რაიონში, სოფ. ერწოსთან, მდ. ყვირილას აუზში, 1711 მ სიმაღლეზე. ზედაპირული ჩადინება არ აქვს. წყალშემკრები აუზის ფართობი 5,85 კმ²-ია, მდებარეობს მთიან-ტყიანი სარტყლის ზემო ზონაში, ფოთლოვანი ტყე

წარმოდგენილია ფართოფოთლოვანი ჯიშებით (მუხა, ნეკერჩხალი, წიფელი, რცხილა), მის ქვეშ, კარბონატულ ქანებზე განვითარებულია ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, ზემოთ კი ტყის მურა ნიადაგები, ტბის გარშემო მინდვრის მცენარეულობაა. აუზის მდინარეთა ქსელი შედარებით კარგადაა განვითარებული. ჩრდილო-დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მასში ჩაედინება სამი მუდმივი შენაკადი.

იგი ყველაზე დიდი კარსტული ტბაა, უკავია ერწოს დეპრესიის ჩრდილოეთ ნაწილი, რომელიც შედგება ძლიერ დისლოცირებული ზედაიურიული კირქვებისაგან, რამაც ხელი შეუწყო კარსტული პოლესების ინტენსიურ განვითარებას. ტბის ქვაბული გამოყოფილია მცირე სიმაღლის კირქვის ბორცვით. მას უკავია ოთხი კარსტული ღრმული, მათგან სამი უშუალოდ გავრის კირქვის ბორცვს, ხოლო ერთი 7 მ სიღრმის, ყველთვის გამოირჩევა ტბის ზედაპირზე, რადგან თავისუფალია წყლის მოქვარული მცენარეებისაგან. ტბას არასწორი ოვალის ფორმა აქვს, სანაპირო ზოლი დასერილია ძლიერად. მისი სამხრეთ ნაპირები მაღალი, დამრეცი და კლდოვანია, ჩრდილოეთ ნაპირები დაბალი, სუსტად დაჭაობებული. წყლის მაღალი დონის დროს ტბის სანაპირო დაბალი და ვაკე ადგილები იტბორება და მაის-ივლისში იმყოფება წყლის ქვეშ. ტბის ტაფობი არასწორია. ოთხი კარსტული ღრმული, რომელთა მაქსიმალური სიღრმეა 5-დან 19 მ-დან, გაყოფილია წყალქვეშა შესაღლებებით, რომლებიც დაბალი დონის დროს მთლიანად გამოდის წყლიდან. ფსკერი დაფარულია მურა ფერის ლამით, მცენარეული ნარჩენებით.

ტბის მორფომეტრული მაჩვენებლებია:

სარკის ფართობი – 0,31 კმ²; წყლის მოცულობა – 645 000 მ³; მაქსიმალური სიღრმე – 19 მ; საშუალო სიღრმე – 2,1 მ.

ტბა იკვებება თოვლისა და წვიმის წყლებით და ატმოსფერული ნალექებით. წყლის მაქსიმალური დონე გაზიარებულის ბოლოსაა, მინიმალური – ზაფხულში და შემოდგომაზე. მიწისქვეშა გადინება ხდება ტბის სამხრეთ ნაწილში. წლის განმავლობაში დონე მერყეობს 2,0-2,5 მ.

ზაფხულში ზედაპირულ ფენებში ტემპერატურა 23-25°-ია, უფრო ღრმად მყარდება პირდაპირი ტემპერატურული სტრატიფიკაცია. ზამთარში ტბა იყინება ხუთი თვეს განმავლობაში (დეკემბერი-აპრილი), ტბა იფარება 50-60 სმ სისქის ყინულით. ტბის წყალი სუსტად მინერალიზებულია, არასასიამოვნო სუნის და გემოსი, გამჭვირვალობა 3-4 მ. თევზი არ არის და დღემდე არ აქვს სამუშარეო მნიშვნელობა.

პალეოსტომი (პალიასტომი) შავი ზღვის სანაპირო ზოლშია, ქ. ფოთთან, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ტბა გამდინარეა, მისი ჩრდილო-დასავლეთ ნაწილიდან გამოდის მდ. კაპარჭინა, რომელიც უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთით და ჩადის შავ ზღვაში. ტბა უკავშირდება ზღვას ღრმა არხით, რომლის სიგანე 140-160 მ-ია და რომელიც წარმოიქნა 1933 წლის დეკემბერში იმ გადამკეტი ზოლის გარღვევის შემდეგ, რომელიც გამოყოფდა ტბას მდ. კაპარჭინასგან.

წყალშემკრები აუზის ფართობი 547 კმ²-ია, რომლის დიდი ნაწილი მოდის ტბის მთავარ შენაკადზე – მდ. ფიჩორაზე. მდებარეობს კოლხეთის დაბლობის სამხრეთ ნაწილში, რომელსაც სამხრეთიდან ეკვრის ნიგოეთის (გურიის) ქედი, რომლის სიმაღლე 500 მ-დება.

აქ გაბატონებულია წყლიან-ჭაობიანი მცენარეულობა, მდ. იმნათის რაიონში, პალეოსტომის აღმოსავლეთით ტორფიან-ჭაობიანი ნიადაგებია, ტორფის ფენის სიმძლავრე 2-3 მ, ზოგ ადგილას – 6-7 მ.

აუზის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია მურყნის ტყეებს, ქვევით იზრდება მარად-მწვანე ბუჩქნარი: პონგოს როდოდენდრონი, აზალია, ბახველი და სხვ. ბევრი ლიანაა: სასაპრილი, ლომონოსი და სხვ. ნიგოეთის ქედის ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთ ფერდობები უკავია მთისწინა კოლხეთის ტყეებს, სადაც ძირითადი ედიფიკატორებია მუხა, წაბლი, რცხილა, წიფელი ცაცხვთან და ნეკერჩხალთან ერთად. კოლხეთის

ტყეების ქვეშ წითელმიწა ნიადაგებია, კარბონატულ ქანებზე გვხვდება ნეშომპალა ნიადაგები.

მდინარეთა ქსელი აუზში ძლიერ განვითარებულია: ძირითადი შენაკადია მდ. ფიჩორა, რომელიც სათავეს იღებს ნიგოეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობიდან, მდ. რიონის პარალელურად ჩრდილოეთიდან პალიასტომში ჩაედინება მდ. შავიწყალი. სამხრეთიდან – პატარა მდინარე თხორინა. პალიასტომის აუზში რამდენიმე პატარა ტბაა: პატარა პალიასტომი, იმნათი, პატარა ოკათი და სხვ.

ტბის ქვაბული წარმოადგენს ზღვის ყოფილ ყურეს, რომელიც გამოეყო ზღვას მდ. რიონის ნატანით წარმოქმნილი ქვიშის ბორცვით. დროთა განმავლობაში მან დაკარგა კავშირი ზღვასთან და გადაიქცა მტკნარი წყლის რელიქტურ ტბად. ტბას ტრაპეციის მოხაზულობა აქვს, ნაპირები სუსტადაა დასერილი, განვითარების კოეფიციენტი 1,2-ია. ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთ ნაპირები თიხნარ-ტორფიანია, დასავლეთი – ქვიშიანი. ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთ ნაპირები დაჭაობებულია, დაფარულია ჭაობის მცენარეულობით. ტბის ფსკერის რელიეფი ბრტყელია, წყალქვეშა კლდეები დამრეცია. ტბის გრუნტი ერთგვაროვანია, ნაცრისფერი და მურა ლამისაა.

ტბის მორფომეტრული მაჩვენებლებია:

სარკის ფართობი – 18,2 კმ²; წყლის მოცულობა – 52 000 000 მ³; მაქსიმალური სიღრმე – 3,2 მ; საშუალო სიღრმე – 2,1 მ.

დონის რეჟიმი მთლიანად განისაზღვრება ნალექების რეჟიმით. ამიტომ მაქსიმალური დონე შეიძლება იყოს წლის ყოველ თვეს და შენარჩუნდეს 2-3 დღე-დამე. დონის უდიდესი ამპლიტუდა შეადგენს 113 სმ-ს, ცალკეულ წლებში მერყეობს 0,6-1 მ. ზღვის დონის ცვლილება გავლენას ახდენს ტბის დონეზე. თუმცა არის შემთხვევები, როცა ტბის დონე ზღვის დონის ქვემოთ ეშვება და ყურის გავლით, რომელიც ტბას აერთებს მდ. კაპარჭინას, ტბაში გადმოდის წყალი ზღვიდან.

ტბის ტემპერატურული რეჟიმი განისაზღვრება შავი ზღვის სიახლოვით. საშუალო თვიური მინიმალური ტემპერატურა შეიმჩნევა იანვარში – 5,5°, უდიდესი – ივლისში და აგვისტოში – 25,1°. წყლის აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა 31,2°-ია. დეკემბერში წყლის ზედაპირული ფენის ტემპერატურა 0,6-1,8°-ია, აპრილიდან ოქტომბრის ჩათვლით 1-2,5°-ით მეტია ჰაერის ტემპერატურაზე. ნაპირზე და მისგან 3 კმ-ით დაშორებულ მანძილზე ერთდროული დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ წლის განმავლობაში წყლის ტემპერატურა ზედაპირულ ფენებში იწევს 0,4-1,6°-ით ზევით ტბის ცენტრალური ნაწილის მიმართ. ზამთარში სხვაობა მერყეობს 0,4-0,6°-ის ფარგლებში, ზამთარში კი 1,6°-ს აღწევს.

ტბის მცირე სიღრმესთან და ხშირ ქარებთან დაკავშირებით, ტემპერატურის სხვაობა ზედაპირულ და ფსკერულ ფენებში მცირეა, თუმცა ზოგჯერ 4-5°-ს აღწევს. ზამთარში სხვაობა არ აღემატება 0,5-1,5°-ს, ზამთრის თვეებში, წენარი ამინდის დროს მყარდება უკუტემპერატურული სტრატიფიკაცია 1,0-2,0° სხვაობით; მარტ-აპრილში ჰომოთერმია. მაისიდან სექტემბრამდე პირდაპირი ტემპერატურული სტრატიფიკაციაა, იშვიათად იცვლება ჰომოთერმიით.

იანვარ-თებერვალში ტბა ყინულით იფარება. ტბის ქიმიური რეჟიმი დიდად ცვალებადია, განსაკუთრებით სრუტის წარმოქმნის შემდეგ, მოხდა ტბის მკვეთრი გამარილიანება, ფსკერთან იგი აღწევს 13 გ/ლ, ზედაპირთან – 12 გ/ლ, ფიჩორის შესართავთან – 10 გ/ლ. თვით ფიჩორში, შესართავიდან 1 კმ-ზე, მარილიანობა მაღალია – ~12 გ/ლ. პალიასტომი შეიძლება მივაკუთვნოთ მარილიან წყალსატევებს. წყალში ანიონებიდან ჭარბობს Na^+ . ქიმიური შედგენილობით ახლოა ზღვის წყალთან. ტბის ჟანგბადური რეჟიმი მდგრადია, წყლის ფერი მოყვითალო-მომწვანოა, გამჭვირვალობა 0,5-1, მ ზაფხულში და 0,2-1,0 მ ზამთარში. წყალი უვარგისია საყოფაცხოვრებო და სამრეწველო მოხმარებისათვის. ტბა გამოიყენება მცირეგაბარიტიანი გემების ნაოსნობი-

სათვის. წარსულში ტბას უდიდესი თევზ-სამეურნეო მნიშვნელობა პქონდა: კობრი, ლოქო, კეფალი. მარილიანობის გაზრდის გამო ბოლო წლებში ტბის პროდუქტიულობამ ძლიერ დაიკლო, რაც მისი ადგენის აუცილებლობას იწვევს, ამ საკითხის გადაჭრა მოითხოვს სამელიორაციო ღონისძიებების გატარებას, რომელთა მიზანი მისი გამტკარება იქნება.

ქვედის ტბა – ჯავის რაიონშია, სოფ. კვაისადან 7 კმ-ით ჩრდილოეთით და სოფ. ქვედადან 8 კმ-ით აღმოსავლეთით, მდ. ჯეჯორის (მდ. რიონის მარცხენა შენაკადი) აუზში, 1568 მ სიმაღლეზე. ტბა გამდინარეა, მასზე გადის მდ. ქვედრულა.

მისი წყალშემკრები აუზის ფართობი 11,8 კმ²-ია. მდ. ქვედრულას დასაწყისში ძველი გამყინვარების კვალია, მდინარე მიედინება დრმა ხეობაში, რომლის კალთები დანაწევრებულია.

აუზში განვითარებულია მთიან-ტყიანი სარტყელი, წარმოდგენილია შერეული ტყით: ნაძვი, ფიჭვი, ნეკერჩხალი, წიფელი. ტბის სარტყლის ზემოთ სუბალპური და ალპური მცენარეულობაა. ტბის სარტყელში გავრცელებულია ტყის მურა ნიადაგები.

მდინარეთა ქსელი საქმაოდ მეჩხერია. მთავარია მდ. ქვედრულა, რომელიც ტბაში ჩაედინება აღმოსავლეთიდან და გამოდის დასავლეთიდან. ორი მცირე შენაკადი ტბაში ჩაედინება სამხრეთიდან.

ეს ტბა ტიპური გუბურის ტიპის ტბაა, რომელიც წარმოიქმნა მდ. ქვედრულას კლდოვანი ზვავით შეგუბების შემდეგ, 1896 წელს კლდე-ბოძალის კირქვიან მასივზე, რომელიც მდებარეობს მდ. ქვედრულას და მდ. ჯეჯორის აუზების წყალგამყოფ ქვდზე.

ტბის ქვაბული, რომელიც მდ. ქვედრულას ხეობის ნაწილია, გადაჭიმულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ტბას ნიჩის ფორმა აქვს, სანაპირო ზოლი სუსტადა დასერილი. ჩრდილოეთი და სამხრეთ ნაპირები დამრეცია, დაფარულია შერეული ტყით, ხეები წყლამდე ეშვება, ხოლო წყლის მაღალი დონისას ნაწილობრივ იტბორება. დასავლეთ ნაპირი წარმოქმნის კლდოვან ჩამონაშალს, რომელიც დამრეცად ეშვება ტბაში. ტბის ფსკერი თანდათან იწვევს ქვევით აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ყველაზე დრმა უბნამდე, ტბის ქვედა ნაწილში, შემდეგ ასევე თანდათან იწვევს ზევით. ფსკერის გრუნტი აღმოსავლეთ ნაწილში ქვიშიანია, დასავლეთით – ლამიანი.

ტბის მორფომეტრული მაჩვნებლებია:

სარკის ფართობი – 0,09 კმ²; წყლის მოცულობა – 707 000 მ³; მაქსიმალური სიღრმე – 15 მ; საშუალო სიღრმე – 7,9 მ.

ტბას კვებავს მდ. ქვედრულას ჩამონადენი, რომელიც წამოიქმნება თოვლის, წვიმის და მიწისქვეშა წყლებით, ამიტომ დონური რეჟიმი განისაზღვრება მთავარი შენაკადით. წყლის მაქსიმალური დონური რეჟიმი გაზაფხულის ბოლოს და ზაფხულის პირველ ნახევარშია, მინიმალური – ზამთარში. დონის წლიური მერყეობა დიდი არ არის (0,7-1,0 მ).

ზაფხულში წყლის ზედაპირული ფენები თბება 18-20°-მდე, მყარდება პირდაპირი ტემპერატურული სტრატიფიკაცია. ზამთარში ტბა იფარება 10-15 სმ სისქის ყინულით.

წყალი სუსტად მინერალიზებულია, ლურჯი ფერის, სუფთა, გამჭვირვალე (6 მ), სასიამოვნო გემოსი და დასალევად ვარგისი. ტბაში ბეკრია კალმახი. ტბა და მისი შემოგარენი გამოირჩევა სილამაზით. სამეურნეო თვალსაზრისით არ გამოიყენება.

3.6. მყინვარების, ჰარბებისა და მიზისმვეშა წყლების დახასიათება

მყინვარები. მყინვარი წყლები (მდინარეების ჩამონადენის სახით) მცირე ზემოქმედებას ახდენს მდინარეთა ჩამონადენზე. მყინვარული ჩამონადენის წილი მდინარეთა საერთო ჩამონადენში 2%-ს შეადგენს (ცხრ. 3.6.1; 3.6.2).

ცხრილი 3.6.1

დასავლეთ საქართველოს მყინვარები და მყინვარული ჩამონადენის წყლის მარაგი

Nº	მდინარის აუზი	მყინვარებში წყლის მარაგი, მლნ. მ ³	მყინვარული ჩამონადენი, მლნ. მ ³	Nº	მდინარის აუზი	მყინვარებში წყლის მარაგი, მლნ. მ ³	მყინვარული ჩამონადენი, მლნ. მ ³
1	ბზიფი	0,11	32,0	5	ხობი	0,02	6,0
2	კელასური	0,02	4,0	6	ცხენისწყალი	0,29	15,1
3	კოდორი	1,35	171,0	7	რიონი	1,35	78,5
4	ენგური	15,60	550,0		სულ:	18,74	856,6

ცხრილი 3.6.2

დასავლეთ საქართველოს ძირითადი მყინვარების ჩამონათვალი

Nº	მყინვარის დასახელება	რაოონი	Nº	მყინვარის დასახელება	რაოონი
1	აგეგსთა	აფხაზეთი	16	ლაილა	სვანეთი
2	ფსიში	აფხაზეთი	17	ლასილი	სვანეთი
3	ფშიში	აფხაზეთი	18	თეთნულდი	სვანეთი
4	ერწახი	აფხაზეთი	19	კარეცი	სვანეთი
5	ატბარა	აფხაზეთი	20	შხარა	სვანეთი
6	მცირე ხუტი	აფხაზეთი	21	გისტოლა	სვანეთი
7	ხუტის	აფხაზეთი	22	შოთა რესთაველის	სვანეთი
8	მაღვანდრა	აფხაზეთი	23	პუშკინის	სვანეთი
9	ლვანდრა	აფხაზეთი	24	გაზევცეპი	რაჭა
10	ცალგმილი	სვანეთი	25	ლებევცეპი	რაჭა
11	ლონდუზორუნი	სვანეთი	26	ყარაუგომი	რაჭა
12	შევლდა	სვანეთი	27	ჭანჭახი	რაჭა
13	რატინი	სვანეთი	28	საუხოხი	რაჭა
14	უშბა	სვანეთი	29	ზეკარი	რაჭა
15	ბაშილთაუ	სვანეთი			


ჭაობები. დასავლეთ საქართველოს ჭაობები კოლხეთის ბარის ჭაობებია (ცხრ. 3.6.3). მათი წყლები მთლიანად ჩაედინება შავ ზღვაში. მათი წყლების გამოყენება მხოლოდ მიწის მელიორაციის ჩატარების შემდეგ გახდება შესაძლებელი.

ცხრილი 3.6.3

კოლხეთის ჭაობების ძირითადი მაჩვენებლები


Nº	ჭაობის დასახელება	რაოონი	ჭაობში წყლის მოცულობა, მლნ. მ ³	საშუალო სიღრმე, მ	ფართობი, კმ ²
1	2	3	4	5	6
1	ფიზორა- პალიასტომის	ლანჩხუთი, ფოთი, ხობი	1328,0	8,0	191,0
2	ჭალადიდი-ფოთის	ხობი	194,0	2,0	144,0
3	I და II ესპანური ჭაობი	ქობულეთი	100,0	6,0	19,0
4	ერისწყლის II	გალი	93,6	1,0	117,0
5	ტიხორი-ჭურინის	ზუგდიდი, ხობი	64,8	0,8	90,0
6	ნაკერდელის	გალი	25,2	1,5	21,0
7	ფიზორა-ქვიშონის	გალი	21,1	2,0-2,5	13,2
8	ნატანები-სუფსის	ოზურგეთი	20,2	1,5	15,0
9	ტორსის	ზუგდიდი	8,1	0,15	9,0
10	ლაიონურის	ქობულეთი	1,6	2,0	1,0
11	ერისწყლის I	გალი	1,2	1,0	1,5
12	ჭვირტისდელე	ლანჩხუთი	1,12	1,1	1,1
13	ქვეშენათა	ლანჩხუთი	0,8	1,0	1,0
14	მორჩხელის	ლანჩხუთი	0,8	1,0	1,0
15	ჯინის ტბის	ლანჩხუთი	0,79	0,9	1,1
16	ბორს-ჭაჩაუდის	გალი	0,72	1,0	0,9
სულ			1861,7		626,8

მიწისქვეშა წყლების მარაგის 39,5% (4,2 კმ³) დასავლეთ საქართველოშია (ნახ. 3.6.1; 3.6.2; ცხრ. 3.6.4).



ნახ. 3.6.1. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის მიწისქვეშა წყლების დარაიონება

ჰიდროგეოლოგიური ოლქები: II – მთაგარი კავკასიონის წყალსადაწნეო სისტემების;
 III – საქართველოს ბელტის არტეზიული აუზების; IV თრიალეთის ნაკეცი ნაკეცი ზონის წყალსადაწნეო სისტემების.



ნახ. 3.6.2. დასავლეთ საქართველოს მიწისქვეშა წყლების პიდროვიმიური შემადგენლობა
წყლის მინერალიზაცია (გრ/ლ-ში): :: 1 – 0,1-მდე; 2 – 0,3-მდე; 3 – 0,5-მდე; 4 – 1,0-მდე;
წყლების ქიმიური შემადგებლობა: 5 – პიდროკარბონატული გალციუმი;
6 – პიდროკარბონატული გალციუმიანი და ნატრიუმიანი; 7 – სულფატური გალციუმიანი და ნატრიუმიანი

ცხრილი 3.6.4

დასავლეთ საქართველოს არტეზიული აუზების
მიწისქვეშა წყლის ძირითადი პიდროგეოლოგიური პარამეტრები


არტეზიული აუზი	მიწისქვეშა წყლების პორიზონები	წყალგამტარიანობის კოეფიციენტი $\beta^2/\text{დღედამეში}$	წყალმზიდი პორიზონების პიეზომეტრული დახრილობა	მიწისქვეშა ნაკადის სიგანე, მ
1	2	3	4	5
კოლხეთის	მეოთხეული დანალექები: გრუნტის წყლის სადაწნეო წყლის	2000 520	2000 520	300 270

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული თერმული წყლების წყაროების მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილში 3.6.5.

დასავლეთ საქართველოს თერმული წყლების მაჩვენებლები

Nº	თერმული წყლის დასახელება	აღგილმდებარეობა	დებიტი ლ/წ	t^oC
1	2	3	4	5
1	ტყვარჩელის და ხოჯალის	სვანეთი	57,0	29-35
2	გაგრის, ბიჭვინთის, ბზიფის	ბზიფის	10,5	34-95
3	სოხუმის	კოდორის	111,1	24-100
4	ზუგდიდის, ცაიშის, მენჯის, ნაქალაქევის	სამეგრელო	231,4	25-91
5	ჭადვის, ფოთის, ჭალადიდის, ხორგის	კოლხეთი	30,1	46-95
6	წყალტუბოს, მექენას	წყალტუბო	270,9	29-39
7	სიმონეთის, ზესტაფონის, სვირის, აჯამეთის	არგვეთი	1,7	44-62
8	მახინჯაურის, ტომაშეთის, შეუბანის, ზეგარის, ჩოკიანის	აჭარა-თრიალეთი	16,0	22-25

მინერალური წყლების წყაროების განლაგება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოყვანილია ნახაზზე 3.6.3 და ცხრილში 3.6.6.



ნახ. 3.6.3. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე
მინერალური წყლების წყაროების განლაგება

ცხრილი 3.6.6

დასავლეთ საქართველოს მინერალური წყლების პიღოლოგიური მაჩვენებლები

№	მინერალური წყლების დასახელება	ადგილმდებარეობა	წყლის დებიტი ლ/დღედამეში
1	ავადხარის	აფხაზეთი	8,0 ლ/წ
2	უწერას	მდ. რიონის ხეობა	0,005 ლ/წ
3	ტყვარჩელის	მდ. ლალიძეს ხეობა	3,5-6,7 ლ/წ
4	ლუგელას და სქურეს	მდ. ხობის-წყლის და მდ. ჭანის-წყლის ხეობები	1,25 ლ/წ
5	სოხუმის	მდ. ბესლეთის ხეობა	11,8 ლ/წ
6	მენჯის	სენაკი	0,3 ლ/წ
7	წყალტუბოს	მდ. წყალტუბოს ხეობა	250,0 ლ/წ
8	საირმის	წაბლის-წყლის ხეობა	1,05 ლ/წ
9	ნაბეღლავის	მდ. გუბაზოულის ხეობა	1,0 ლ/წ
10	მახინჯაურის	ქ. ბათუმთან	4,5 ლ/წ

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს წყლის მარაგის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს მდინარეების ჩამონადენი (ცხრ. 3.6.7).

ცხრილი 3.6.7

დასავლეთ საქართველოს წყლის მარაგის კომპონენტები

წყლის მარაგის მაჩვენებელი	მდინარეები	ტბები	წყალსაცავები	მყინვარები	მიწისქვეშა წყლები	ჭაობები
წყლის მოცუ- ლობა, კმ ³	51,13	0,18	0,27	18,74	4,2	1,86

დასავლეთ საქართველოში მელიორაციის ძირითად მიმართულებას ამოშრობა წარმოადგენს.

3.7. საქართველოს წყლის რესურსების გამოყენების თავისებურებანი

საქართველოს წყლის რესურსების გამოყენება შემდეგია: წყლის ობიექტებიდან აღებული წყლის საშუალო წლიური მოცულობა 4604,4 მლნ. მ³-ს აღწევს, რომლის 33,1% მოდის მრეწველობაზე, 49,8% სოფლის მეურნეობაზე და 16,5% საყოფაცხოვრებო-კომუნალურ მეურნეობაზე. გამოყენებული წყლის მოცულობა 3697,0 მლნ. მ³-ს შეადგენს. წყლის გამოყენებაში მრეწველობის ხვედრითი წილი განისაზღვრება 43,7%-ის ოდენობით, სოფლის მეურნეობის – 38,7%, საყოფაცხოვრებო-კომუნალური მეურნეობის – 16,5%. აღნიშნული მონაცემები მოტანილია ცხრ. 3.7.1-ში.

ცხრილი 3.7.1

აღებული და გამოყენებული წყლის მოცულობები საქართველოში 1981-1985 წლებში, მლნ. მ³

	ამოღებული წყლის მოცულობა, მლნ. მ ³		გამოყენებული წყალი, მლნ. მ ³				
	სულ	მათ შორის მიწისქვეშა	სულ	სამეურნეო სასმელი	მრეწვე- ლობის	მორწყვა- გაწყლო- ვანების	სოფლის მეურნეობის წყალმო- მარაგების
1	2	3	4	5	6	7	8
სულ	4604,0	713,0	3697,0	620,0	1632,0	1427,0	18,0
მათ შორის							
მრეწველობა	1526,0	89,9	1615,0	60,88	1547,0	6,68	0,76
სოფლის მეურნეობა	2292,2	8,56	1429,0	3,15	13,42	1413,0	0,08
საცხოვრებელ- კომუნალური მეურნეობა	760,1	601,3	610,6	542,4	43,88	7,16	17,14

ეკონომიკაში წყალგამოყოფა შემდეგნაირად გამოიყურება: მრეწველობის დარგებისათვის – 1422,0 მლნ. მ³ (75,5%), სოფლის მეურნეობის დარგებისათვის – 7,4 მლნ. მ³ (0,4%), საყოფაცხოვრებო-კომუნალური დარგისათვის – 420,0 მლნ. მ³ (24,4%).

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოში სამეურნეო საჭიროებისათვის სულ გამოყენებული იყო 620,0 მლნ. მ³ წყალი, მისი 9,8% მრეწველობაში, 0,5% – სოფლის მეურნეობაში. სამრეწველო საჭიროებისათვის გამოყენებული წყლის მოცულობა 1632,0 მლნ. მ³-ს შეადგენდა. აქედან წარმოების წილად მოდიოდა 94,8%, სოფლის მეურნეობის წილად – 0,8%, საყოფაცხოვრებო-კომუნალური მეურნეობის წილად – 2,7%. მიწების მორწყვისა და საძოვრების გაწყლოვანებისათვის გამოყენებული იყო 1427,0 მლნ. მ³ მოცულობის წყალი. აქედან 0,5% მოდიოდა მრეწველობაზე, 99% – სოფლის მეურნეობაზე და 0,5% – საყოფაცხოვრებო-კომუნალური მეურნეობაზე. განსახილველი პერიოდისათვის ჩამონადენი წყლების საშუალო წლიური რაოდენობა საქართველოში შეადგენდა 1930,0 მლნ. მ³-ს. აქედან 97,3% ჩაედინებოდა წყლის ობიექტებში, ხოლო 2,7% – სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოსარწყავად.

წყლის ობიექტებზე ჩამდინარე დაბინძურებული წყლების მოცულობა 343,0 მლნ. მ³-ს შეადგენდა, საიდანაც 11,1% მოდიოდა მრეწველობაზე, 1,0% – სოფლის მეურნეობაზე. წყლის ობიექტებზე გაწმენდის გარეშე მიწოდებული ნორმატიულად სუფთა წყლების მოცულობა შეადგენდა 1256,0 მლნ. მ³-ს, მათ შორის მრეწველობაში – 1242,0

მლნ. გ³ (99,3%) და სოფლის მეურნეობაში – 0,6 მლნ. გ³ (0,05%). იმავე პერიოდისათვის ნორმატიულად გაწმენდილი ჩამდინარე წყლების რაოდენობა განისაზღვრა 278,0 მლნ. გ³ ოდენობით. მათგან ბიოლოგიური წმენდის ნაგებობებზე დამუშავდა 41,9% და ფიზიკურ-ქიმიური გაწმენდის ნაგებობებზე – 58,1%.

საქართველოში დაუბრუნებელი მოხმარების და წყლის დანაკარგების მთლიანი მოცულობა აღწევდა 2456,0 მლნ. გ³-ს. მათ შორის მრეწველობაში – 114,4 მლნ. გ³-ს (4,7%), სოფლის მეურნეობაში – 2025,0 მლნ. გ³-ს (82,5%), საყოფაცხოვრებო-კომუნალურ მეურნეობაში – 306,7 მლნ. გ³-ს (89,8%) შეადგენდა.

აღმოსავლეთ საქართველოში წყლის გამოყენების სტრუქტურას შემდეგი სახე ჰქონდა: 14,6% – სამეურნეო-სასმელი საჭიროებისათვის, 43,1% – მრეწველობის საჭიროებისათვის, 0,1% – საძოვრების გაწყლოვანებისათვის, 0,6% – სოფლის მეურნეობის წყალმომარაგებისათვის. **დასავლეთ საქართველოსათვის** წყლის გამოყენების სტრუქტურა რამდენადმე განსხვავებულია. აქ სამეურნეო-სასმელი საჭიროებისათვის იხარჯება გამოყენებული წყლის 27%, მრეწველობის საჭიროებისათვის – 49,1%, მორწყვისათვის – 23,7%, სოფლის მეურნეობისათვის – 0,1%.

ქვეყანაში წყლის დაუბრუნებელი მოხმარება შეადგენდა გამოყენებული წყლის 79,7%-ს (2726,0 მლნ. გ³).

1981-1985 წლების მონაცემებით **აღმოსავლეთ საქართველოს** წყლის ობიექტებში საშუალო წლიური ჩადინების მოცულობამ შეადგინა 1505,8 მლნ. გ³, ხოლო **დასავლეთ საქართველოსათვის** – 371,6 მლნ. გ³, რაც, შესაბამისად, საქართველოს მთელი წყალგადაგდების 81,1% და 19,9%-ია. საჭიროა აღინიშნოს, რომ პრაქტიკულად, წყალგადაგდების მთელი მოცულობა ხორციელდება ზედაპირულ წყლის ობიექტებზე. **აღმოსავლეთ საქართველოს** წყალგადაგდების სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: დაბინძურებული წყლები – 20,3%, ნორმატიულად სუფთა წყლები (გაწმენდის გარეშე) – 74,9%, გამწმენდ ნაგებობებზე ნორმატიულად გაწმენდილი წყლები – 4,8%. **დასავლეთ საქართველოსათვის** ეს მონაცემები, შესაბამისად, ასეთია: 9,8%, 34,6%, 55,6%.

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს მეურნეობაში, მისი მეტად ინტენსიური განვითარების პერიოდშიც კი გამოიყენებოდა ქვეყნის საშუალო წლიური ჩადინების მხოლოდ 8,7%, მათ შორის მიწების მორწყებაზე – 2,5%. ქმნის ერთ-ერთ მსხვილ წყალმომხმარებელს სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა, მადაც მხოლოდ მოსარწყავად გამოიყენებოდა 1413,0 მლნ. გ³ წყალი. მაგრამ უკანასკნელ პერიოდში შექმნილი რთული პრობლემების შედეგად მკვეთრად შემცირდა სარწყავი მიწების ფართობი და შესაბამისად, სარწყავი წყლის მოხმარებაც (200,0 მლნ. გ³).

ლიტერატურა

1. Абхазава И.С. – Озера Грузии. Тбилиси, Мецниереба, 1975, 180 с.
2. Буачидзе И.М. – Гидрография СССР, т. X, Грузинская ССР. М., 1970, 404 с.
3. Варазашвили Н.Г. Гобечиа Г.Н. – Особенности формирования водного хозяйства горных регионов. Тбилиси, Мецниереба, 1996. 234 с.
4. Варазашвили Н. Г. – Основные положения теории прогноза формирования водохранилищ горных регионов. Труды международного симпозиума «Проблемы инженерной геологии в гидротехническом строительстве» Т.,1, Тбилиси, Мецниереба, 1979 г., с. 33-40.
5. Владимиров Р.А. – Среднегодовой сток рек Грузии. Тбилиси, изд. АН Грузии, 1962, с. 117.
6. Водохранилища Закавказья. Книга I, Грузинская ССР, Москва, ЦБНТИ, Госконцерн «Водстрой». 1991, 62 с (Раздел «Водохранилища Грузии» составлен Иорданишвили И.К.).
7. Воропаев Г.В., Местечкин В.Б., Працахин А.Б. – Тенденции использования водных ресурсов в СССР. – Водные ресурсы, 1991, № 2, с. 168-178.
8. Воскресенский К.Н., Иванов И.В. и др. – Водные ресурсы Закавказья. Труды ГГИ, 1977, вып. 241, с. 88-98.
9. Генеральная схема комплексного использования и охраны водных ресурсов ГССР на период до 2000 года и на более отдаленную перспективу. Гидропроект, Тбилисское отделение, Тбилиси, 1981.
10. Иорданишвили И.К. – Возможности оптимального использования системного анализа при изучении гидрологических процессов в горных водохранилищах. Ж. «Энергия» №1(13), 2000 г. с. 105-107.
11. Иорданишвили И.К. – Гидравлика элементов волн и берегозащитных креплений водохранилищ и моря, проект №4, МАБ – Международная программа ЮНЕСКО «Человек и биосфера», МАБ в СССР, Справочник, выпуск 3, М., Московское отделение Гидропроекта, 1987 г.
12. Иорданишвили И.К. – Динамика внутриводоемных процессов горных водохранилищ Грузии. Мецниереба, Тбилиси, 2004, 194 с. (Монография)
13. Иорданишвили И.К. – Исследование гидродинамического режима мелководной зоны на горных водохранилищах. Сб. трудов V Конференции «Динамика и термика рек, водохранилищ и прибрежной зоны морей». М. 1999 г. с. 44-46.
14. Иорданишвили И.К. – Особенности развития внутриводоемных процессов на горных водохранилищах. Ж.: «Водные ресурсы» №6, М., 2000 г. с. 678-686.
15. Иорданишвили И.К. – Параметризация волновых процессов на горных водохранилищах. Сб. трудов V Конференции «Динамика и термика рек, водохранилищ и прибрежной зоны морей», М.: 1999 г. с. 46-47.
16. იორდანიშვილი ი.კ., იორდანიშვილი ქ.თ. – აღმოსავლეთ საქართველოს ბუნებრივი წელის ძირითადი მარაგის და წელის რესურსების ფორმირებისა და გამოყენების თავისებურება. თბილისი, 2008 წ. 144 გვ. (მოხვევათისა).
17. Иорданишвили И.К. – Системный подход к параметризации волновых процессов на горных водохранилищах. Ж. «ГТС», №12. М., 2001 г. с. 26-31.
18. იორდანიშვილი ი.კ. – ტალღური პროცესების განვითარება მთის წყალსაცავების “დრმა” წყალზე. “მოამბე”, №162(2), თბილისი, 2000 წ. გვ. 309-311.
19. იორდანიშვილი ქ., ვართანვი მ., ჯუდელი ზ., იორდანიშვილი ი., ვანავა ლ. – სარწყავი მელიორაციის განვითარება საქართველოში //მეცნიერება და ტექნოლოგიები, №1-3, 2006, გვ. 134-140.
20. ვართანვი მ., იორდანიშვილი ქ., ჯუდელი ზ. – კოლეთის მიწების დაშრობის პრობლემების გადაწყვეტა //მეცნიერება და ტექნოლოგიები, №4-6, 2006, გვ. 144-146.
21. იორდანიშვილი ქ. – საქართველოს წელის რესურსების განვითარება და პიდრომელიორაციაში გამოყენება //სამ. მრ. კრ. „წყალსამეურნეო და პიდრომელიორაციული ობიექტების მდგრადობა, საიმედოობა და კოლოგიური უსაფრთხოება“ საქოდროებოლოგია, 2005, გვ. 79-86.
22. Vartanov M., Iordanishvili I., Nadibaidze V., Iordanishvili K., Jugeli Z. – Анализ экономической эффективности орошения земель Грузии //Use of the water resources and its integrational management in globalization processes. The III international scientific and practical conference. Baku, 6-7 July, 2006. p. 201-202.
23. Использование и охрана водных ресурсов в СССР, вып. 7, Минск, ЦНИИКИВР, 1986, 254 с.
24. Каталог ледников СССР, т. 9. Гидрометеоиздат, 1983.

25. Колесников В.И. – Экология и водные отношения Грузии. – Тбилиси, Мецниереба, 1992, 182 с.
26. Львович М.И. – Вода и жизнь М., Изд-во «Мысль», 1986, 254 с.
27. Львович М.И. – Мировые водные ресурсы и их будущее. М., «Мысль», 1974, 448 с.
28. Метревели Р. – Водохранилища Закавказья (Армения и Грузия), - Л.: Гидрометеоиздат, 1985 г.
29. Мировой водный баланс и водные ресурсы земли. – Л. Гидрометеоиздат, 1974, 638 с.
30. Основные показатели использования вод в СССР. М., Минводхоз, 1988, 48 с.
31. Природные ресурсы Грузии и проблемы их рационального использования, Тбилиси, Мецниереба, 1991, 683.
32. Потолашвили В.В., Амаладзе Г.Н. – Водные ресурсы Аджарии. – Труды ЗакНИИ, 1981, вып. 77/83/, с. 73-82.
33. Ресурсы поверхностных вод СССР. т. 9. Закавказье и Дагестан, вып. Западное Закавказье, Л, Гидрометеоиздат, 1969, 311 с.
34. Ресурсы поверхностных вод СССР. т. 9. Закавказье и Дагестан, вып. 4. Восточное Закавказье, Л, Гидрометеоиздат, 1971, 227 с.
35. Сванидзе Г.Г., Цомая В.Ш. – Водные ресурсы Закавказья. Л. Гидрометеоиздат 1988, 264 с.
36. სოლომონი თ., დადიანი ბ., ცბაძე გ. და სხვ. – საქართველოს მფინანსების მცირე პიდობობის ენერგეტიკული ტექნიკის გადასტრუ. თბილისი, საქ. ენერგეტიკისა და ენერგეტიკული ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. 2006, 480 გვ.
37. Схема использования водных ресурсов СССР до 2000 года. /Грузинская ССР-Грузгипроводхоз. Тбилиси, 1984.
38. Схема комплексного использования и охрана водных ресурсов бассейна р. Куры Груз. ССР. – Грузгипроводхоз, Тбилиси, 1974.
39. Схема комплексного использования и охрана водных ресурсов бассейна р. Храми. -Грузгипроводхоз, Тбилиси, 1884.
40. Схема комплексного использования водных ресурсов СССР на период до 2005 года, Груз. ССР. – Грузгипроводхоз, Тбилиси, 1984.
41. Схема охраны природного комплекса и рационального использования естественных ресурсов Черного и Азовского морей /в границах Груз.ССР/. –Грузгипроводхоз, Тбилиси, 1978.
42. Цомая В.Ш. – Изменение массообмена ледниковых Кавказа за последние 30-40 лет и их влияние на водность рек. –Материалы гляциологических исследований. Хроника, обсуждения, 1980, вып. 38.М.с.125-130,202-205.
43. Цомая В.Ш. – К вопросу расчета стока ледниковых рек Кавказа. –Труды ЗакНИГМИ, 1961, вып.9, с. 170-175.
44. Учет использования вод в СССР, Методические основы, Минск, Наука и техника, 1978, 200 с.
45. Эльпинер Л.И., Васильев В.О. – Водные ресурсы, современные особенности и перспективы водопотребления в СССР. –Водные ресурсы, 1983, № I, с. 163-172.
46. ცანავა ლ. – კატასტროფული წყალდიდობები, წყალმოვარდნები და დარცვოფული მოვლენები საქართველოში/ თბილისი, მეცნიერება, 2004 წ. 304 გვ.